

**რა უნდა ვიცოდეთ
საქართველოდან
ევროკავშირის გაზარზე
აღკოვლიანი და უაღკოვლო
სასმელები და წყლის
სასამწლო პროდუქციის
ექსპორტისათვის**



თბილისი 2012

ევროკავშირი – საქართველოს ბიზნესსაბჭო



ევროკავშირი 27 ევროპული სახელმწიფოს* პოლიტიკურ-ეკონომიკური გაერთიანებაა, რომელიც თანდათანობით, 50 წლიანი ისტორიის მანძილზე ვითარდებოდა. დღეს ევროკავშირის სახელმწიფოებს შორის საზღვრები ღიაა და მათ საერთო სავაჭრო სივრცე გააჩნიათ.

ევროკავშირი მზადაა საკუთარი ფასეულობები და გამოცდილება სხვა სახელმწიფოებს გაუზიაროს. ინფორმაცია საქართველოსა და ევროკავშირის შორის თანამშრომლობის შესახებ იხილეთ www.delgeo.ec.europa.eu

*ავსტრია, ბელგია, ბულგარეთი, გერმანია, დანია, დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, ესტონეთი, ირლანდია, იტალია, კვიპროსი, ლატვია, ლიტვა, ლუქსემბურგი, მალტა, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, საბერძნეთი, საფრანგეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, უნგრეთი, ფინეთი, შვედეთი, ჩეხეთი და ჰოლანდია.



ევროკავშირი-საქართველოს ბიზნესსაბჭო (EUGBC) ქართული და ევროპული კომპანიების მიერ 2006 წლის დასაწყისში, ბრიუსელში, არაკომერციული იურიდიული პირის ფორმით დაფუძნდა. საბჭოს საქმიანობის ძირითად მიმართულებებს საქართველოსა და ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის ინვესტიციებისა და სავაჭრო ბრუნვის ზრდის ხელშეწყობა წარმოადგენს. ინფორმაცია ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭოს შესახებ იხილეთ www.eugbc.net

რა უნდა ვიცოდეთ საქართველოდან ევროკავშირის გაზარხა ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელებისა და წყლის სასაქონლო პროდუქციის ექსპორტისათვის

HOW TO EXPORT ALCOHOLIC AND NON-ALCOHOLIC BEVERAGES AND WATER PRODUCTS FROM GEORGIA TO THE EU MARKET

მომზადებულია ევროკავშირი-საქართველოს ბიზნესსაბჭოს მიერ

**ავტორები: ოთარ სხვიტარიძე
გიორგი მიქაძე
კონსტანტინე ზალდასტანიშვილი**

**Authors: Otar Skhvitaridze
Giorgi Mikadze
Konstantin Zaldastanishvili**

წინამდებარე პუბლიკაციის შინაარსზე პასუხისმგებელია ევროკავშირი-საქართველოს ბიზნესსაბჭო. პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები არ უნდა იქნეს მიჩნეული ევროკავშირის პოზიციად.

© European Commission

ISBN 978-9941-0-4842-5

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. შესავალი	3
2. საქართველოში მოქმედი სამართლებრივი რეგულირება.....	4
2.1. შესავალი.....	4
2.2. ადგილწარმოშობის დასახელება და გეოგრაფიული აღნიშვნა	4
2.3. ალკოჰოლიანი სასმელების წარმოების, დისტრიბუციისა და ექსპორტის სამართლებრივი რეგულირება	6
2.4. წყლის სასაქონლო პროდუქციის წარმოების, დისტრიბუციისა და ექსპორტის სამართლებრივი რეგულირება	14
2.5. ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელებისა და წყლის სასაქონლო პროდუქციის უვნებლობისა და ხარისხის ჰიგიენური ნორმატივები	17
3. საერთაშორისო ხელშეკრულებები	22
4. ევროკავშირში მოქმედი სამართლებრივი რეგულირება.....	24
4.1. ზოგადი და სპეციფიკური მოთხოვნები ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელებისა და წყლის სასაქონლო პროდუქციის საქართველოდან ევროკავშირის ბაზარზე იმპორტისას	24
4.2. ჰიგიენური მოთხოვნები	27
4.3. ეტიკეტირება.....	28
4.4. მიკრობიოლოგიური და ფიზიკო-ქიმიური მაჩვენებლების ნორმატივები	33
4.5. მარკეტინგული სტანდარტები	37
4.6. ფიტოსანიტარიული მოთხოვნები ხის ტარასა და შესაფუთ მასალაზე საერთაშორისო ვაჭრობის განხორციელებისას	40
5. საერთაშორისო სტანდარტები	40
5.1. სტანდარტი ISO 22000 და GLOBAL G.A.P.....	40
5.2. კოდექს ალიმენტარიუსის სტანდარტები	41
Summary How to Export Alcoholic and Non-Alcoholic Beverages and Water Products from Georgia to the EU Market	42
დანართი 1. ევროკავშირში ექსპორტისთვის განკუთვნილი ღვინის, ყურძნის წყენის და ახალი ღვინის შესაბამისობის სერტიფიკატის ფორმა VI 1.....	49
დანართი 2. არა დსთ-ს ქვეყნებში საექსპორტო ალკოჰოლიანი სასმელების წარმოშობის სერტიფიკატის ფორმა	51
დანართი 3. წყლის სასაქონლო პროდუქციის კატეგორიის ფორმა	52
დანართი 4. პუბლიკაციაში გამოყენებული საქართველოსა და ევროკავშირის საკანონმდებლო აქტები და საერთაშორისო ხელშეკრულებები	53

რა უნდა ვიყო დემოკრატიის სფეროში და როგორ უნდა ვიყო პოლიტიკური სფეროში და
შედეგად სწავლა უნდა ვიყო პოლიტიკური სფეროში

1. შესავალი

საქართველოს განვითარების დღევანდელ ეტაპზე ქართველი მწარმოებლებისთვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს სტრატეგიული თვალსაზრისით ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბაზართან - ევროკავშირთან ისეთი სასურსათო პროდუქტებით ვაჭრობის ზოგადი და კონკრეტული საკითხების შესახებ ინფორმაციის ფლობას, როგორცაა ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელები და **წყლის სასაქონლო პროდუქცია**¹.

ქართული ღვინო ისტორიით ერთ-ერთი უძველესია ევროპაში. მევენახეობასა და ღვინის წარმოებასთან დაკავშირებით დღეისათვის ნაპოვნი ყველაზე ადრეული ნიშნები მიუთითებს საქართველოში ღვინის კულტურის დაახლოებით 7000 წლის წინ არსებობაზე, რის საფუძველზეც საქართველო ღვინის სამშობლოდ არის ცნობილი.

საქართველო განეკუთვნება მაღალხარისხოვანი მევენახეობა-მეღვინეობის ზონას. მსოფლიოში ცნობილი ვაზის 4000 ჯიმიდან 450 საქართველოში აბორიგენული სახეობაა. მათგან 62 ჯიმი შეტანილია სტანდარტულ, ხოლო 29 საღვინე და 9 სუფრის ღვინის ასორტიმენტებში. დღეს საქართველოს მევენახეობის უმეტესი ნაწილი კახეთის რეგიონში არის წარმოდგენილი, მაგრამ აღსანიშნავია ასევე რაჭა-ლეჩხუმის, იმერეთის, შიდა ქართლისა და გურიის რეგიონები, სადაც მევენახეობა ალორძინების გზაზეა.

საქართველოს მრავალრიცხოვანი ბუნებრივი რესურსებიდან, წყლის რესურსები, განსაკუთრებით მინისქვეშა წყლები წარმოადგენს ქვეყნის ერთ-ერთ მთავარ ეროვნულ სიმდიდრეს. ქვეყნის ფიზიკურ-გეოგრაფიული და კლიმატური პირობები განაპირობებენ ამ მეტად მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსის მრავალფეროვნებას.

წინამდებარე პუბლიკაციის მიზანია, ქართველ მწარმოებებს გააცნოს ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელებისა და წყლის სასაქონლო პროდუქციის წარმოების, გადამუშავების, დისტრიბუციისა და ექსპორტის მარეგულირებელი, საქართველოსა და ევროკავშირში დღეისათვის მოქმედი ძირითადი საკანონმდებლო აქტები, აგრეთვე საერთაშორისო სტანდარტები და ხელშეკრულებები, რაც მათ ამ პროდუქტების ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტში დაეხმარება.

ევროკავშირის საკანონმდებლო აქტებში მოცემული მოთხოვნები ვრცელდება, როგორც ევროკავშირში წარმოებულ, ასევე ევროკავშირის ბაზარზე იმპორტირებულ ალკოჰოლიან და უალკოჰოლო სასმელებსა და წყლის სასაქონლო პროდუქციაზე და ამდენად, ისინი **მესამე ქვეყნებს**² ექსპორტიორებისთვისაც საყურადღებოა.

1 წყლის სასაქონლო პროდუქცია მოიცავს ოთხ კატეგორიას: ნატურალური მინერალური წყალი; სამკურნალო მინერალური წყალი; წყაროს წყალი და სუფრის წყალი.

2 მესამე ქვეყნებად იწოდებიან ის სახელმწიფოები, რომლებიც არ არიან ევროკავშირის წევრი ქვეყნები, იმ ქვეყნების ჩათვლით, რომლებიც ევროკავშირთან სპეციალური პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობებით სარგებლობენ (ევროკავშირის ასოცირებული წევრი ქვეყნები, ევროკავშირთან სტაბილურობისა და ასოცირების შესახებ შეთანხმებით დაკავშირებული ქვეყნები და ა.შ.)

2. საქართველოში მოქმედი სამართლებრივი რეგულირება

2.1. შესავალი

ალკოჰოლიანი და უაღკვეთლო სასაქონლო და წყლის სასაქონლო პროდუქტების წარმოება, გადამამუშავება, დისტრიბუცია და ექსპორტი რეგულირდება საქართველოში მოქმედი სხვადასხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

სურსათის უვნებლობის სფეროში მოქმედ მთავარ საკანონმდებლო აქტს წარმოადგენს [საქართველოს კანონი „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი“](#).

ამ კანონის მოქმედება ვრცელდება სახელმწიფო კონტროლისადმი დაქვემდებარებულ სურსათის/ცხოველის საკვების საქართველოში წარმოებაზე, გადამამუშავებასა და დისტრიბუციაზე, აგრეთვე პირველად წარმოებაზე, ცხოველთა ჯანმრთელობაზე, ვეტერინარულ პრეპარატებზე, მცენარეთა სიჯანსაღეზე, პესტიციდებსა და აგროქიმიკატებზე.

კოდექსის რეგულირების სფეროა სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის კონტროლი, ვეტერინარული კონტროლი და ფიტოსანიტარიული კონტროლი, რომლებიც უკავშირდება საქონლის საბაჟო საზღვარზე გადაადგილებას (იმპორტი, რექსპორტი, ექსპორტი და ტრანზიტი).

ალკოჰოლიანი და უაღკვეთლო სასაქონლო და წყლის სასაქონლო პროდუქტების წარმოებისადმი საქართველოში მოქმედი ნორმატიული აქტების ისეთი მოთხოვნები როგორებიცაა ბიზნესოპერატორთა რეგისტრაცია, სახელმწიფო კონტროლი, მიკვლევადობისა და საფრთხეების კონტროლის შიდა სისტემა, ეტიკეტირება, სტანდარტიზაცია, მეტროლოგია, ჰიგიენური სერტიფიცირება, ასევე ბიზნესოპერატორთა ვალდებულებები, უფლებები და პასუხისმგებლობა, დანვრისგან თავისუფლება, ევროკავშირის-საქართველოს ბიზნესსაბჭოს (EUGBC) მიერ გამოცემული პუბლიკაციის [„რა უნდა ვიცოდეთ საქართველოდან ევროკავშირის ბაზარზე არაცხოველური წარმოშობის სურსათის ექსპორტისათვის“](#) მე - 2 თავში.

2.2. ადგილწარმოშობის დასახელება და გეოგრაფიული აღნიშვნა

სურსათის, მ.შ. ალკოჰოლიანი და უაღკვეთლო სასაქონლო და წყლის სასაქონლო პროდუქტების ადგილწარმოშობის დასახელებათა დადგენა და მათი გამოყენების მკაცრ სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსთვის. იგი აუცილებელი წინაპირობაა ჩვენს ქვეყანაში ელიტარული, მაღალი ხარისხისა და ღირებულების პროდუქტების წარმოებისა და მისი არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან დაცვისათვის.

[საქართველოს კანონის „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ“](#) შესაბამისად, [ადგილწარმოშობის დასახელება](#) არის გეოგრაფიული ადგილის, რაიონის, რეგიონის, გამონაკლის შემთხვევაში, ქვეყნის თანამედროვე ან ისტორიული სახელი, გამოყენებული იმ საქონლის მოსანიშნად:

- რომელიც წარმოშობილია ამ გეოგრაფიულ ადგილზე;
- რომლის განსაკუთრებული ხარისხი და თვისებები, მთლიანად ან ძირითადად განპირობებულია, მხოლოდ ამ გეოგრაფიული ადგილის ბუნებრივი გარემოსა და ადამიანის ფაქტორით;

- რომლის წარმოება, ნედლეულის დამზადება და დამუშავება ხდება ამ გეოგრაფიული ადგილის საზღვრებში.

გეოგრაფიული აღნიშვნა არის გეოგრაფიული ადგილის სახელი, გამონაკლის შემთხვევებში, სიმბოლო, რომელიც მიუთითებს გარკვეულ გეოგრაფიულ ადგილზე (ადგილის სახელი ან მისი მიმანიშნებელი სხვა რაიმე აღნიშვნა) და გამოიყენება იმ საქონლის მოსანიშნად, რომლის განსაზღვრული თვისებები ან რეპუტაცია ამ გეოგრაფიულ ადგილთან არის დაკავშირებული, რაც, თავის მხრივ, განპირობებულია ამ გეოგრაფიულ ადგილში არსებული ბუნებრივი პირობებით და ადამიანის ფაქტორით.

წარმოშობის ადგილი შეიძლება იყოს სოფელი, ქალაქი, რეგიონი და თავად ქვეყანაც. ამდენად, გეოგრაფიული აღნიშვნის ცნება უფრო ზოგადია და მთლიანად მოიცავს ადგილწარმოშობის დასახელების ცნებას. ადგილწარმოშობის ნებისმიერი დასახელება გეოგრაფიული აღნიშვნაცაა, მაგრამ არა პირიქით.

საქონლის ადგილწარმოშობის დასახელების და გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციას აწარმოებს სსიპ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – საქპატენტი³.

ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელიც მოიპოვებს ან გადაამუშავებს ნედლეულს, ან აქვს მოქმედი საწარმო, რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის შესაბამისი გეოგრაფიული ადგილის საზღვრებში და წარმოებული საქონლის განსაკუთრებული ხარისხი, თვისებები და რეპუტაცია მთლიანად ან ძირითადად განპირობებულია ამ გეოგრაფიული ადგილით ან დაკავშირებულია ამ გეოგრაფიულ ადგილთან, შეუძლია „საქპატენტი“ წარადგინოს განაცხადი რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის გამოყენებაზე უფლების მოსაპოვებლად.

აკრძალულია რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის გამოყენება იმ პირის მიერ, რომელიც არ არის რეგისტრირებული აღნიშნული სახელის გამოყენების უფლების მქონე პირად.

საქართველოს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის სხვა სახელმწიფოში სარეგისტრაციოდ წარდგენის უფლება მხოლოდ მისი საქართველოში რეგისტრაციის შემდეგ აქვთ.

„ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების დაპატენტებასთან, რეგისტრაციასთან და დეპონირებასთან დაკავშირებული მომსახურების საფასურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის №182 დადგენილების შესაბამისად განსაზღვრული მომსახურების განევის ვადები და ტარიფები მოცემულია ცხრილში №1.

3 ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – საქპატენტი (www.sakpatenti.org.ge)

ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - საქპატენტის მიერ საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციასთან დაკავშირებული ტარიფები

N	ქმედება	ტარიფი აშშ დოლარი (ექვივალენტი ლარებში)
1.	საქონლის ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიულ აღნიშვნაზე განაცხადის ექსპერტიზა	120
2.	გამოქვეყნება	50
3.	საქონლის ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიულ აღნიშვნის რეგისტრაცია	160
4.	ცვლილებების შეტანა რეესტრში ⁴	50
5.	რეესტრიდან დამონმებული ამონაწერის გაცემა	30

„საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ საქართველოს კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 28 თებერვლის №88 ბრძანებულება განსაზღვრავს ღირსის, ღირსის ბრენდის, ნატურალური მინერალური წყლისა და წყაროს წყლის ადგილწარმოშობის დასახელების დადგენის, რეგისტრაციის, გამოყენებისა და კონტროლის პროცედურებს. ამ ბრძანებულებაში მოცემულია:

- ღირსის, ღირსის ბრენდის, ნატურალური მინერალური და წყაროს წყლის ადგილწარმოშობის დასახელებათა ჩამონათვალი;
- ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოებისა და ღვინის ბრენდებისთვის მევენახეობის სპეციფიკური ზონების პირობითი საზღვრები;
- ადგილწარმოშობის დასახელების ნატურალური მინერალური და წყაროს წყლების საბადოების პირობითი საზღვრები.

2.3. ალკოჰოლიანი სასმელების წარმოების, დისტრიბუციისა და ექსპორტის სამართლებრივი რეგულირება

მევენახეობა-მეღვინეობის, როგორც ქვეყნის ეკონომიკის პრიორიტეტული დარგის ხელის შეწყობასა და განვითარებას, კონკურენტუნარიანი ყურძნის, ღვინისა და ყურძნისეული წარმოშობის სხვა ალკოჰოლიანი სასმელების წარმოებასა და რეალიზაციას, ფალსიფიკირებული და უხარისხო პროდუქტებისაგან სამომხმარებლო ბაზრის დაცვას, „ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონი არეგულირებს.

კანონის მოქმედება ვრცელდება იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, რომელთა სამეურნეო საქმიანობა მოიცავს მევენახეობა-მეღვინეობის დარგში სასაქონლო პროდუქციის, მათ შორის, ყურძნისეული წარმოშობის პროდუქტების წარმოებას, რეალიზაციას, შენახვას, ტრანსპორტირებას, ექსპორტსა და იმპორტს.

„ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, მევენახეობა-მეღვინეობის დარგში საქმიანობას არეგულირებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ) **ღვინის ეროვნული სააგენტო⁵**, რომლის კონტროლსაც საქართველოს სოფლის

4 საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებებსა და გეოგრაფიულ აღნიშვნებზე არსებობს შესაბამისი რეესტრი (მათი ჩამონათვალი), რომელიც გამოქვეყნებულია საქპატენტის ვებ-გვერდზე.

5 სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო – www.moa.gov.ge; www.georgianwine.gov.ge

მეურნეობის სამინისტრო ახორციელებს.

შესაბამისობისა და წარმოშობის სერტიფიკატებს გასცემს ღვინის ეროვნული სააგენტო, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

„ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონი არეგულირებს ალკოჰოლიანი სასმელების სერტიფიცირების ზოგად მოთხოვნებს. ამ კანონის მიხედვით, ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოების სერტიფიცირება სავალდებულოა.

სუფრისა და მხარის ღვინოების, აგრეთვე მაგარი ალკოჰოლიანი სასმელების სერტიფიცირება ნებაყოფლობითია. სერტიფიცირებისთვის საკმარისია აკრედიტებული საგამოცდო ლაბორატორიის⁶ გამოცდის ოქმის საფუძველზე, ალკოჰოლიანი სასმელების მწარმოებლის მიერ შედგენილი შესაბამისობის დეკლარაციის წარდგენა, რომელშიც მოცემულია ინფორმაცია მწარმოებლის რეკვიზიტების, პროდუქციის წარმოშობისა და ხარისხის შესახებ.

დეგუსტაცია სავალდებულოა ექსპორტისათვის განკუთვნილი ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოების შესაბამისობის სერტიფიკატის⁷ გასაცემად. სხვა შემთხვევაში ღვინის დეგუსტაცია ნებაყოფლობითია და მას დაკვეთის საფუძველზე ღვინის ეროვნულ სააგენტოსთან შექმნილი მუდმივმოქმედი სადეგუსტაციო კომისია ახორციელებს.

ყურძნისეული წარმოშობის პროდუქტების ექსპორტირებისას გაიცემა **წარმოშობის სერტიფიკატი**⁸.

ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოების ექსპორტირება დასაშვებია მხოლოდ ბოთლებში ჩამოსხმული სახით.

„ალკოჰოლიანი სასმელების სერტიფიკაციის სისტემის შესახებ“ და „ალკოჰოლიანი სასმელების სერტიფიკაციის წესის შესახებ“ დებულებების, „წარმოშობის სერტიფიკატის გაცემის წესის“, „ღვინის ჩამოხარისხების წესის“ დამტკიცების შესახებ საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის 2003 წლის 12 აგვისტოს №2-221 ბრძანება არეგულირებს ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმელებისა და სპირტების სერტიფიკაციის საკითხებს.

შესაბამისობის სერტიფიკატის გაცემაზე გადაწყვეტილების მისაღებად განიხილება სამი აუცილებელი პირობა:

- ანალიტიკური ექსპერტიზის შედეგები;
- ორგანოლეპტიკური ტესტირების შედეგები;
- ალკოჰოლიანი სასმელების წარმოების წესებისა და რეგლამენტების დაცვის სახელმწიფო კონტროლის შედეგები.

აკრედიტებული საგამოცდო ლაბორატორიის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს კონკრეტული სასერტიფიკაციო ალკოჰოლიანი სასმელების ანალიტიკური ექსპერტიზის ჩატარება და გამოცდის ოქმის გაცემა.

6 ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელებისა და წყლის სასაქონლო პროდუქციის სფეროში აკრედიტებული ლაბორატორიების ჩამონათვალი შეიძლება მოიპოვოთ ეკონომიკის სამინისტროს ვებ-გვერდზე: www.Economy.gov.ge; სამინისტროში შემავალი საქვეუწყებო და საჯარო სამართლის იურიდიული პირები; აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო აკრედიტაციის ცენტრი; აკრედიტირებული პირები; ტესტირების ლაბორატორიები.

7 შესაბამისობის სერტიფიკატი – სერტიფიკაციის სისტემის წესების შესაბამისად გაცემული სერტიფიკატი, რომელიც ადასტურებს, რომ დადგენილი წესით იდენტიფიცირებული პროდუქცია შესაბამისაა მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების მიერ მის მიმართ ნაყენებულ მოთხოვნებს.

8 წარმოშობის სერტიფიკატი – პროდუქციის ექსპორტიორი ქვეყნის კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს დადგენილი წესით იდენტიფიცირებული პროდუქციის წარმოშობის ქვეყანას.

ალკოჰოლიანი სასმელების ორგანოლეპტიკურ ტესტირებას ახორციელებენ სა-დეგუსტაციო კომისიის დეგუსტატორები. დეგუსტატორს უნდა ჰქონდეს მეღვინე-ტექნოლოგის განათლება და პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება. სადეგუსტაციო კომისიის წევრების წარდგენა ხდება ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მიერ, ხოლო ამ სიას ამტკიცებს სოფლის მეურნეობის მინისტრი.

ლაბორატორიული გამოცდისა და ორგანოლეპტიკური ტესტირების შედეგებზე და ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ განხორციელებული ალკოჰოლიანი სასმელების წარმოების წესებისა და რეგლამენტების დაცვაზე სახელმწიფო კონტროლის შედეგების შესახებ არსებული საინფორმაციო ბანკის მონაცემებზე დაყრდნობით, სააგენტოს ხელმძღვანელობა იღებს გადაწყვეტილებას, სერტიფიკატის გაცემის ან მის გაცემაზე უარის თქმის შესახებ.

უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, სააგენტო განმცხადებელს წერილობით აცნობებს დასაბუთებას უარის თქმის შესახებ.

დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, სააგენტო განმცხადებელს გადასცემს შესაბამისობის სერტიფიკატს, რომელსაც წინასწარ ატარებს რეესტრში.

შესაბამისობის სერტიფიკატში მითითებული უნდა იყოს მისი გაცემის საფუძველი. მას დანართის სახით შეიძლება დაერთოს ანალიტიკური გამოცდის ოქმის ასლი.

ერთ შესაბამისობის სერტიფიკატში შეიძლება ფიგურირებდეს ერთი ან რამდენიმე დასახელების ალკოჰოლიანი სასმელი.

სერტიფიცირებული ალკოჰოლიანი სასმელების დასახელებათა რაოდენობის გათვალისწინებით, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისობის სერტიფიკატი შეიძლება მეორე გვერდზე გაგრძელდეს.

შესაბამისობის სერტიფიკატის გაფორმება ხდება ქართულ, რუსულ ან ინგლისურ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი არის ფერადი, ხოლო დანარჩენი ორი - შავ-თეთრი.

ერთი ფერადი და ერთი შავ-თეთრი ეგზემპლარი გადაეცემა განმცხადებელს, ხოლო ერთი შავ-თეთრი ეგზემპლარი, დანართთან ერთად, რჩება ღვინის ეროვნულ სააგენტოში, დაერთვის შესაბამისობის სერტიფიკატის მოთხოვნის თაობაზე განცხადებასა და განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ სხვა დოკუმენტებს და სააგენტოში, სერტიფიკატის მოქმედების ვადის გასვლიდან არანაკლებ 6 თვის განმავლობაში ინახება.

ფერადი შესაბამისობის სერტიფიკატი წარმოადგენს ძირითად დოკუმენტს.

შესაბამისობის სერტიფიკატის თითოეული ეგზემპლარი დამონმებული უნდა იქნეს სააგენტოს ბეჭდითა და უფლებამოსილი პირის ხელმოწერით, რის შემდეგაც იგი შედის ძალაში.

იმ შემთხვევაში, თუ სასერტიფიკაციო ღვინო, ყურძნის წვენი ან ახალი ღვინო განკუთვნილია ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტისათვის, მას აუცილებლად უნდა ახლდეს თან VI 1 ფორმის შესაბამისობის სერტიფიკატი, რომლის ფორმა მოცემულია დანართში №1 და რომელსაც ღვინის ეროვნული სააგენტო გაცემს. ხსენებული სერტიფიკატის მე-10 გრაფას ავსებს ღვინის ეროვნული სააგენტო, ხოლო მე-11 გრაფას, რომელშიც აისახება ალკოჰოლიანი სასმელის ანალიტიკური ექსპერტიზის შედეგები - აკრედიტებული საგამოცდო ლაბორატორია. აღნიშნული გრაფები დამონმებული უნდა იქნეს სააგენტოსა და ლაბორატორიის ბეჭდებითა და შესაბამის უფლებამოსილ პირთა ხელმოწერებით. ამჟამად საქართველოში VI 1 სერტიფიკატის მე-11 გრაფის შესვლისა და დამონმების უფლება გააჩნიათ შემდეგ ლაბორატორიებს: შპს “ღვინის ლაბორატორია”, შპს “მულტიტესტი”, შპს “ნორმა”, შპს “ეტალონი”, შპს “ექსპერტიზა+”

და შპს “მიკრობიოლოგი”.

შესაბამისობის სერტიფიკატის მოქმედების ვადა განისაზღვრება 18 თვით.

ღვინის ეროვნული სააგენტო ვალდებულია ორგანიზაციის ტესტირებაზე ნიმუშების მიღებიდან 5 (ხუთ) სამუშაო დღეში დაამთავროს სერტიფიკატის პროცედურები და დეკლარანტს გადასცეს შესაბამისობის სერტიფიკატი ან დასაბუთებული წერილობითი უარი.

წარმოშობის სერტიფიკატის გაცემის საფუძველს წარმოადგენს განმცხადებლის ან მისი უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი წერილობითი განცხადება წარმოშობის სერტიფიკატის გაცემის თაობაზე.

წერილობითი განცხადება შეიძლება გაკეთდეს ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ შემუშავებული და წინასწარ დაბეჭდილი ფორმის ბლანკზე ან განმცხადებლის სატიტულო ფურცელზე.

წარმოშობის სერტიფიკატის მისაღებად წარმოდგენილი დოკუმენტების ნამდვილობასა და მათში მოყვანილი მონაცემების სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება განმცხადებელს. განცხადება და მასზე დართული ყველა დოკუმენტი, წარმოშობის სერტიფიკატის გამცემ ორგანოში 3 (სამი) წლის განმავლობაში ინახება.

ღვინის ეროვნული სააგენტო ალკოჰოლიან სასმელებზე გასცემს შემდეგი ფორმის წარმოშობის სერტიფიკატებს:

- ფორმა „CT-1” – გაცემა დსთ-ის ქვეყნებში საექსპორტო პროდუქციისაზე;
- ე.წ. თავისუფალი ფორმის – გაცემა დსთ-ს არანეერ ქვეყნებში (მ.შ. ევროკავშირის ნეერ ქვეყნებში) საექსპორტო პროდუქციისაზე. ხსენებული სერტიფიკატის ფორმა მოცემულია დანართში №2.

წარმოშობის სერტიფიკატი გაცემა საექსპორტო პროდუქციის ყოველ პარტიაზე. წარმოშობის სერტიფიკატის გაფორმება ხდება ფორმაში არსებული კონკრეტული გრაფების მოთხოვნათა შესაბამისად, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი არის ფერადი, ხოლო დანარჩენი ორი – შავ-თეთრი.

ერთი ფერადი და ერთი შავ-თეთრი ეგზემპლარი გადაეცემა განმცხადებელს, ხოლო ერთი შავ-თეთრი ეგზემპლარი რჩება ღვინის ეროვნულ სააგენტოში და დაერთვის წარმოშობის სერტიფიკატის მოთხოვნის თაობაზე განცხადებასა და განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ სხვა დოკუმენტებს.

ფერადი წარმოშობის სერტიფიკატი წარმოადგენს ძირითად დოკუმენტს.

საჭიროების შემთხვევაში, განმცხადებლის განცხადების საფუძველზე, დამატებით შეიძლება გაიცეს წარმოშობის სერტიფიკატის კიდევ ერთი შავ-თეთრი ეგზემპლარი.

წარმოშობის სერტიფიკატის თითოეული ეგზემპლარი დამოწმებულ უნდა იქნეს სააგენტოს ბეჭდითა და თავმჯდომარის ხელმოწერით, რის შემდეგაც წარმოშობის სერტიფიკატი შედის ძალაში.

წარმოშობის სერტიფიკატის გაცემაზე დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ღვინის ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილი პირი განმცხადებელს გადასცემს დადგენილი წესით გაფორმებულ წარმოშობის სერტიფიკატის ეგზემპლარებს.

წარმოშობის სერტიფიკატი გაცემა განცხადების რეგისტრაციდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის განმავლობაში.

წარმოშობის სერტიფიკატის მოქმედების ვადა შეადგენს 12 თვეს, მისი გაცემის მომენტიდან.

წარმოშობის სერტიფიკატის დაზიანების ან დაკარგვის შემთხვევაში, განმცხადებლის განცხადების საფუძველზე, ღვინის ეროვნული სააგენტო გასცემს ოფიციალურად დამონმებულ დუბლიკატს.

წარმოშობის სერტიფიკატის გაცემაზე უარყოფითი გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული. განმცხადებლის მოთხოვნის შემთხვევაში, აღნიშნულის შესახებ სააგენტო მას აცნობებს წერილობით.

განმცხადებლის მიერ წარმოშობის სერტიფიკატის გამოუყენებლობის შემთხვევაში, მას არ უბრუნდება სერტიფიკატის მისაღებად გადახდილი თანხა.

საგამოცდო ლაბორატორიისათვის და სადგესტაცო კომისიისათვის წარსადგენად [ალკოჰოლიანი სასმელების ნიმუშის აღების წესებს](#) „[საგამოცდო ლაბორატორიისა და სადგესტაციო კომისიისათვის წარსადგენად ნიმუშის აღების წესის დამტკიცების შესახებ](#)“ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2007 წლის 15 ნოემბერის №2-183 ბრძანება ადგენს.

სერტიფიკირების მიზნით ნიმუშის აღებას, ნიმუშის აღებას, დალუქვას და ნიმუშის აღების პროცედურის დოკუმენტირებას ახორციელებს განმცხადებელი, რომელიც პასუხისმგებელია ნიმუშის აღების პროცედურების კეთილსინდისიერად განხორციელებაზე.

სტაციონარულ ჭურჭელში, კასრში, ან სატრანსპორტო ერთეულში მოთავსებული ალკოჰოლიანი სასმელების ნიმუშები აიღება:

- სტაციონარული ჭურჭლისა და სატრანსპორტო ერთეულის შემთხვევაში – სხვადასხვა (ზედა, შუა და ქვემო) ფენიდან, თანაბარი რაოდენობით;
- განყოფილებიანი ჭურჭლის შემთხვევაში – თითოეული განყოფილების სხვადასხვა (ზედა, შუა და ქვემო) ფენიდან, თანაბარი რაოდენობით;
- კასრის შემთხვევაში – „ნერტილოვანი“ მეთოდით, ლივერის ან სიფონის გამოყენებით, კასრის სხვადასხვა (ზედა, შუა და ქვემო) ფენიდან, თანაბარი რაოდენობით.

რამდენიმე ჭურჭელში მოთავსებული ერთი და იმავე დასახელების ჩამოსასხმელი ალკოჰოლიანი სასმელებისათვის შეიძლება გაერთიანებული ნიმუშის აღება. გაერთიანებული ნიმუშის მისაღებად ცალკეული ჭურჭლებიდან ცალ-ცალკე აღებულ სინჯებს აერთიანებენ და ახდენენ დარეგულარულად ერთგვაროვანი ნიმუშის მიღებამდე.

ჩამოსასხმელი ალკოჰოლიანი სასმელების ბოთლებში ჩასხმულ ნიმუშებს ხუფავენ საცობით და ბოთლის ყელს ლუქავენ ბეჭდით.

ბოთლები ისე უნდა იყოს დახუფული, ხოლო მათი ყელი დალუქული ბეჭდით, რომ ვიზუალურად ადვილი შესამჩნევი იყოს ლუქის მთლიანობის დარღვევის ფაქტი.

ერთი ჭურჭლის, სატრანსპორტო ერთეულის, ან კასრის და სამომხმარებლო ტარაში ჩამოსხმული ან/და სარეალიზაციოდ მზა ალკოჰოლიანი სასმელების შემთხვევაში, ალკოჰოლიანი სასმელების ნიმუში აღებულ უნდა იქნეს:

- 0,7 ლიტრიანი ან მეტი მოცულობის 3 ბოთლი;
- საგამოცდო ლაბორატორიისათვის და დგესტაციისათვის განკუთვნილი პროდუქციის 0,7 ლიტრიანი ან მეტი მოცულობის 5 ბოთლი.

აღებული ალკოჰოლიანი სასმელების ნიმუშებიდან 3 დალუქული ბოთლი რჩება ბიზნესოპერატორს, ერთ ბოთლს უტარდება ლაბორატორიული კვლევა, ერთი ბოთლს დგესტაცია, ხოლო 3 ბოთლი რჩება ღვინის ეროვნულ სააგენტოში (საჭიროების შემთხვევაში).

- სპეციფიკურ ზონაში წარმოებული ადგილწარმოშობის დასახელების კონტროლირებადი ღვინო¹¹ შემთხვევაში - აღნიშნას „ადგილწარმოშობის კონტროლირებადი დასახელების ღვინო“ და წარმოშობის ადგილის (სპეციფიკური ზონის) დასახელებას, ცალკე ან ამ აღნიშვნასთან ერთად;
- აღნიშნას „ქართული ღვინო“;
- ცქრიალა, შუშუნა, შემაგრებული და არომატიზებული ღვინოების შემთხვევაში - შესაბამის აღნიშვნას: „ცქრიალა ღვინო“, „შუშუნა ღვინო“, „შემაგრებული ღვინო“ ან „არომატიზებული ღვინო“;
- მწარმოებლის დასახელებას;
- ჩამომსხმელის დასახელებას, თუ პროდუქციის მწარმოებელი და ჩამომსხმელი სხვადასხვა პირია;
- ლოტის ნომერს (ნებადართულია, აღნიშნოს კონტრეტიკეტივი).

პროდუქციის ეტიკეტზე, კონტრეტიკეტსა და საყელოზე ასევე ნებადართულია (თუმცა არასავალდებულო) აღნიშნოს:

- პროდუქციის ფერი;
- ვაზის ჯიშის ან ჯიშების დასახელება, თუ პროდუქცია (ღვინო, ბრენდი და ა.შ.) დამზადებულია აღნიშნული ჯიშის ან ჯიშების ყურძნის სულ ცოტა 85%-ის გამოყენებით;
- ყურძნის მოსავლის წელი, თუ ღვინის სულ ცოტა 85% დამზადებულია აღნიშნულ წელს მოწეული ყურძნისაგან;
- პროდუქციის ტრადიციული დასახელება, თუ იგი არსებობს და გამოიყენება მისი წარმოების ზონაში და ძირითადი ნედლეულის (ყურძნის) სახელწოდების სინონიმი, თუ იგი მოცემული ზონისათვის ტრადიციულია;
- პროდუქტის შაქრიანობა გრ/დმ³;
- პროდუქციის ხარისხის კონტროლის სარეგისტრაციო ნომერი (სამარკო პროდუქციისათვის), რომელსაც პროდუქციას ანიჭებს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო;
- ბოთლებში ჩამოსხმული ადგილწარმოშობის დასახელების პროდუქციის რაოდენობა;
- დაზუსტებები, რომლებიც შეეხება პროდუქციის დამზადების მეთოდს, ფერს, შემადგენლობაში შემავალ ინგრედიენტებს და ა.შ. და რომლებიც რეგლამენტირებულია მოცემული პროდუქციის დამზადების ტექნოლოგიური ინსტრუქციით;
- ინფორმაცია პროდუქციის, მწარმოებლისა და პროდუქციის რეალიზაციის მონაწილეთა შესახებ;
- ინფორმაცია იმ ძირითადი ნედლეულის (ყურძნის, სპირტისა და ა.შ.) წარმოების ბუნებრივი და ტექნოლოგიური პირობების შესახებ, რომლისგანაც დამზადებულია მოცემული პროდუქცია;
- ინფორმაცია პროდუქციის მიერ მიღებული ჯილდოების შესახებ;
- ინფორმაცია მწარმოებელთა ან რეალიზატორთა (დისტრიბუტორთა) იმ ჯგუფ-

11 ღვინო, რომელიც წარმოებულია სპეციფიკურ ზონაში (ყურძნის დამზადება-გადამუშავება და ღვინის წარმოება), რომლის განსაკუთრებული ხარისხი და თვისებები მთლიანად ან ძირითადად განპირობებულია ამ სპეციფიკური ზონის ბუნებრივი კლიმატური და ნიადაგობრივი ფაქტორებით (ტერუარი) და ვაზის ჯიშის მხოლოდ ამ აგროეკოლოგიურ პირობებში გამოქვავებული განსაკუთრებული ღვინოებით, რომელიც მზადდება ტრადიციული ან სპეციალური ტექნოლოგიით და რომელსაც მიკუთვნებული აქვს ამ სპეციფიკური ზონის თანამედროვე ან ისტორიულ-გეოგრაფიული სახელი.

ფის (გაერთიანების) შესახებ, რომელთანაც დაკავშირებულია მოცემული პროდუქციის მწარმოებელი, თუ ეს ინფორმაცია ხელს შეუწყობს პროდუქციის პრესტიჟის ამაღლებას;

- ინფორმაცია პროდუქციის წარმოების ზონაში არსებული ისტორიული ადგილის (ძეგლის) შესახებ.

ღვინის ბრენდის ეტიკეტზე აღინიშნება აგრეთვე კუპაჟში გამოყენებული საბრენდე სპირტის საშუალო ასაკი.

ცქრიალა ღვინის ეტიკეტზე უნდა მოხდეს მისი წარმოების ადგილზე. ექსპორტირებისას პროდუქტის ეტიკეტზე უნდა იყოს აღნიშვნა „დამზადებულია საქართველოში“.

ექსპორტისათვის განკუთვნილი ალკოჰოლიანი სასმელების ეტიკეტზე დასაშვებია დამატებითი ან განსაკუთრებული ინფორმაციის მითითება, იმპორტიორი ქვეყნის კანონმდებლობის, ან იმპორტიორი იურიდიული ან ფიზიკური პირის მოთხოვნის შესაბამისად.

საქართველოს ტერიტორიაზე წარმოებული ღვინის და ყურძნისეული წარმოების სპირტიანი სასმელის ეტიკეტზე წარწერები უნდა იყოს ქართულ ენაზე, ან ქართულთან ერთად ერთ-ერთ უცხო ენაზე.

„ყურძნის ღვინოების წარმოების ზოგადი წესებისა და რეგლამენტების შესახებ დებულები“, „ტექნოლოგიური პროცესების აღრიცხვის წესის შესახებ დებულები“, „მევენახეობა-მღვინეობის დარგში სასაქონლო პროდუქციის წარმოებასთან და რელიზაციასთან დაკავშირებული საქმიანობის სავალდებულო შეტყობინების წესის შესახებ დებულები“ დამტკიცების შესახებ, [საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის 2003 წლის 6 მარტის №2-51 ბრძანებით დადგენილია რეგლამენტები ადგილწარმოების დასახელების ღვინოებისათვის განკუთვნილი ყურძნისათვის და ყურძნის ღვინოების წარმოების ზოგადი ტექნოლოგიური წესი.](#)

ამ ტექნიკური რეგლამენტის თანახმად:

- ადგილწარმოების დასახელების ღვინოები ინარმოება მხოლოდ ჯანსაღი, ტექნიკურად მწიფე ყურძნიდან, რომლის დაზიანების ხარისხი არ აღემატება 5%-ს;
- ადგილწარმოების დასახელების ღვინოების წარმოებისათვის განკუთვნილ ვენახებში ყურძნის მაქსიმალური მოსავლიანობა რეგლამენტირებულია;
- სპეციფიკურ ზონებში წარმოებული ადგილწარმოების დასახელების ღვინოების დამზადებისას მისმა გამოსავლიანობამ 1 ტონა ყურძნიდან უნდა შეადგინოს არა უმეტეს 65 დეკალიტრისა. აღნიშნულზე მეტი გამოსავლიანობის შემთხვევაში იკრძალება ღვინისათვის ადგილწარმოების დასახელების სტატუსის მინიჭება;
- მხარის ღვინის წარმოებისას მევენახეობის ამ მხარეში დამზადებული ყურძნის ხვედრითი წილი უნდა იყოს არანაკლებ 80 %;
- მხარისა და ადგილწარმოების დასახელების ღვინოების წარმოებისას დაუშვებელია ყურძნის ტკბილის ან კონცენტრირებული ყურძნის ტკბილის დამატება (გარდა ცქრიალა და შემაგრებული ღვინოებისა);
- მხარისა და ადგილწარმოების დასახელების ცქრიალა და შემაგრებული ღვინოების დამზადებისას გამოყენებული ყურძნის ტკბილი ან კონცენტრირებული ყურძნის ტკბილი მზადდება ვაზის სტანდარტული ჯიშების სორტიმენტისაგან;
- ვარდისფერი ღვინოები ინარმოება ფერადყურძნიანი საღვინე ჯიშების გადა-

მუშავებით, ან ერთი და იმავე ხარისხის (სუფრის, მხარის, ადგილწარმოშობის დასახელების) თეთრი და წითელი ღვინოების შერევით, ან წითელი ყურძნის გამოყენებაზე დურდოზე თეთრი ყურძნის ტკბილის დადულებით.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2010 წლის 7 ოქტომბერის №2-159 ბრძანებაში, რომელიც მიღებულია ტექნიკური რეგლამენტის სახით, მოცემულია მეღვინეობის პრაქტიკაში ნებადართული პროცესების, მასალებისა და ნივთიერებების ჩამონათვალი და მათი გამოყენების პირობები.

ამ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული ყველა გამოყენებული ნივთიერება და მასალა უნდა შეესაბამებოდეს ენოლოგიის საერთაშორისო კოდექსს, რომელიც დამტკიცებულია ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციის¹² მიერ.

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ მომსახურების განვების ვადისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 26 იანვრის №45 დადგენილებით განსაზღვრული მომსახურების განვების ვადები და ტარიფები მოცემულია ცხრილში №2.

ცხრილი №2

ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ მომსახურების განვების ვადები და ტარიფები

N	მომსახურების სახე	მომსახურების ვადა	მომსახურების ტარიფი (დღგ-ის ჩათვლით)
1	ახალი ადგილწარმოშობის რეგისტრაციისათვის დასკვნის გაცემა		5000 ლარი
2	ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოებზე შესაბამისობის სერტიფიკატისა და ყურძნისეული წარმოშობის პროდუქციის ექსპორტირებისას წარმოშობის სერტიფიკატის გაცემა	ერთი დღე ორი დღე სამი დღე	250 ლარი 100 ლარი უფასო
3	მწარმის მიერ დამტკიცებული ყურძნის ღვინოების წარმოების ტექნოლოგიური ინსტრუქციების შეთანხმება		300 ლარი
4	რეკლამის განთავსება სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს ვებგვერდზე	ერთი წელი	500 ლარი
5	სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს ერთი ბოთლი სახელობითი ღვინო		10 ლარი
6	ექსპორტის მონაცემების გაცემა	ერთი წელი	1200 ლარი
7	ეტიკეტის შეთანხმება (ნებაყოფლობითი)		250 ლარი

2.4. წყლის სასაქონლო პროდუქციის წარმოების, დისტრიბუციისა და ექსპორტის სამართლებრივი რეგულირება

„წყლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, წყლის სასაქონლო პროდუქციის წარმოებისა და ვაჭრობის წესები ვრცელდება საქართველოში და მის ფარგლებს

¹² ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაცია (O.I.V. International Organization of Vine and Wine. www.oiv.int)

გარეთ წარმოებულ (ჩამოსხმულ) ყველა წყალზე, რომელიც იყიდება საქართველოს ტერიტორიაზე ან განსაზღვრულია საქესპორტოდ.

საქართველოში წარმოებული (ჩამოსხმული) წყლის სასაქონლო პროდუქცია მისი წარმოშობის, ფიზიკურ-ქიმიური მახასიათებლებისა და დამუშავების ხარისხის მიხედვით კლასიფიცირებულია ოთხ კატეგორიად:

- ნატურალური მინერალური წყალი;
- სამკურნალო მინერალური წყალი;
- წყაროს წყალი;
- სუფრის წყალი.

„საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ წყლის სასაქონლო პროდუქციისათვის კატეგორიის მინიჭების წესის, წყლის სასაქონლო პროდუქციის კატეგორიის ბლანკის, აღრიცხვა-ანგარიშგების წესისა და სარეგისტრაციო ჟურნალის დამტკიცების შესახებ“ [საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2007 წლის 6 თებერვლის №2-14 ბრძანების](#) მიხედვით, დაინტერესებული იურიდიული ან ფიზიკური პირისმიერ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, წყლის სასაქონლო პროდუქციის კატეგორიას (ნატურალური მინერალური, წყაროს და სუფრის წყალი) ანიჭებს, რეგისტრაციაში ატარებს და მინიჭებული კატეგორიის დამადასტურებელ დოკუმენტს გასცემს სურსათის ეროვნული სააგენტო.

წყლის სასაქონლო პროდუქციის კატეგორიის დამადასტურებელი დოკუმენტის ფორმა მოცემულია დანართში №3.

წყლის სასაქონლო პროდუქციას სამკურნალო მინერალური წყლის კატეგორიას ანიჭებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

გადანყვეტილება წყლის სასაქონლო პროდუქციის კატეგორიის მინიჭების შესახებ მიიღება განცხადების მიღებიდან არაუმეტეს 3 თვის განმავლობაში. განცხადების შეტანის უფლება აქვს ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

განცხადება უნდა შეეხებოდეს ცალკეული წყლის სასაქონლო პროდუქციისათვის კონკრეტული კატეგორიის მინიჭების მოთხოვნას. განცხადება შედგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და უნდა შეიცავდეს:

- იმ ადმინისტრაციული ორგანოს დასახელებას, რომელსაც მიმართავს განმცხადებელი;
- განმცხადებლის ვინაობას და მისამართს;
- მოთხოვნის შინაარსს;
- განცხადების წარდგენის თარიღს და განმცხადებლის ხელმოწერას;
- განცხადებაზე თანდართული საბუთების ნუსხას.

აკრძალულია ერთი კატეგორიის წარმოებული (ჩამოსხმული) წყლის სახელწოდების გამოყენება სხვა კატეგორიის წყლისათვის.

წყლის სასაქონლო პროდუქციისთვის **ნატურალური მინერალური და წყაროს წყლის** კატეგორიის მინიჭებისას უზრუნველყოფილი უნდა იქნეს შემდეგი მოთხოვნების დაცვა:

- საბადოს ეკოლოგიური დაცულობა;
- საბადოში წყლის ქიმიური შედგენილობის, ტემპერატურისა და დებიტის სტაბილურობა (არ ეხება წყაროს წყლის კატეგორიას);

- წყლის წარმოება (ჩამოსხმა) უნდა ხდებოდეს ერთი საბადოდან;
- წყლის საბადოს მარაგი დამტკიცებული უნდა იყოს „წინაღის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად (არ ეხება წყაროს წყლის კატეგორიას);
- წყლის საბადოსა და წყლის ჩამოსხმელ სანარმოს შორის წყლის ტრანსპორტირება უნდა ხდებოდეს მხოლოდ მათი დამაკავშირებელი მილსადენის საშუალებით;
- წყლის დამუშავების დროს გამოყენებული უნდა იყოს ისეთი ტექნოლოგია, რომელიც არ გამოიწვევს მისი ბუნებრივი მიკრობიოლოგიური და ქიმიური შედგენილობის ცვლილებას;
- წყლის ხარისხი შესაბამისობაში უნდა იყოს საქართველოში მოქმედი ნორმატიული აქტებით დადგენილ მოთხოვნებთან.

სუფრის წყლის ბიოლოგიური და ფიზიკო-ქიმიური მაჩვენებლები, სანარმოში წყლის მიწოდებისა და დამუშავების ტექნოლოგია უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოში მოქმედ შესაბამის ნორმატიულ აქტებს.

„მინერალური წყლის ადგილწარმოშობის დასახელების რეგისტრაციისათვის და მინერალური წყლის ადგილწარმოშობის დასახელების გამოყენების უფლების მქონე პირის რეგისტრაციისათვის საჭირო კანონმდებლობით განსაზღვრულ მონაცემთა შესწავლის, დადგენის და მინერალური წყლის ადგილწარმოშობის დასახელების გამოყენებაზე კონტროლის განხორციელების წესის შესახებ“ [საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის 2003 წლის 4 მარტის №2-49 ბრძანების](#) თანახმად, მინერალური წყლის (ნატურალური მინერალური და წყაროს წყლები) ადგილწარმოშობის დასახელების რეგისტრაციისათვის საჭირო მონაცემების შესწავლისა და დადგენის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ახორციელებს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სურსათის ეროვნული სააგენტო.

წარმოდგენილი მასალების შესწავლისა და დადგენის მიზნით, სურსათის ეროვნულ სააგენტოში შექმნილია ექსპერტთა ჯგუფი, რომელის ფუნქციას წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვის საფუძველზე დაადგინოს:

- შესაბამისი გეოგრაფიული ადგილისათვის დამახასიათებელი წარმოების სპეციფიკური თავისებურებები, მათი არსებობის შემთხვევაში;
- საქონლის სპეციფიკური ხარისხისა და რეპუტაციის კავშირი შესაბამის გეოგრაფიულ ადგილთან;
- ორგანოლექტიკური მახასიათებლები.

განაცხადი მინერალური წყლის ადგილწარმოშობის დასახელების გამოყენების უფლების მქონე პირის რეგისტრაციისთვის საჭირო მონაცემების დადგენის შესახებ, სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის სახელზე შეაქვს განმცხადებელს.

განაცხადის შეტანის უფლება აქვს ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს, რომელიც აწარმოებს ადგილწარმოშობის დასახელების მინერალურ წყალს და აკმაყოფილებს „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

განაცხადი შედგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და უნდა შეეხებოდეს ერთი ადგილწარმოშობის დასახელების მინერალურ წყალს.

დასკვნის გაცემა ხდება შემოსული განცხადების საფუძველზე. სურსათის ეროვნული სააგენტო ვალდებულია, განაცხადის რეგისტრაციიდან 3 თვეში მიიღოს ადგილწარმოშობის დასახელების რეგისტრაციის შესახებ დასკვნის გაცემის გადაწყვეტილება.

ექსპერტთა ჯგუფის გადაწყვეტილების საფუძველზე სურსათის ეროვნული საა-

გენტო გასცემს დასკვნას, რომელსაც დანართის სახით ახლავს რეგისტრაციისათვის საჭირო მონაცემთა ჩამონათვალი.

სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული დასკვნის საფუძველზე, ადგილწარმოშობის დასახელების და ადგილწარმოშობის დასახელების გამოყენების უფლების მქონე პირის რეგისტრაციას აწარმოებს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - საქპატენტი.

წყლის სასაქონლო პროდუქციის ექსპორტისათვის შესაბამისობისა და წარმოშობის სერტიფიკატი არ მოითხოვება.

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ მომსახურების განევის ვადისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 31 იანვრის №59 დადგენილებით განსაზღვრული მომსახურების განევის ვადები და ტარიფები მოცემულია ცხრილში №3.

ცხრილი №3

სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ მომსახურების განევის ვადა და ტარიფები

№	მომსახურების სახე	მომსახურების ვადა	მომსახურების ტარიფი (დღ-ის ჩათვლით)
1	წყლის სასაქონლო პროდუქციის კატეგორიის სერტიფიკატის გაცემა	3 თვე 2 თვე 1 თვე	100 ლარი 200 ლარი 300 ლარი
2	მინერალური წყლის ადგილწარმოშობის დასახელების გამოყენების რეგისტრაციისთვის საჭირო მონაცემების შესახებ დასკვნის გაცემა	3 თვე 2 თვე 1 თვე	100 ლარი 200 ლარი 300 ლარი
3	მინერალური წყლის ადგილწარმოშობის დასახელების გამოყენების უფლების მქონე პირის რეგისტრაციისთვის საჭირო მონაცემების შესახებ დასკვნის გაცემა	3 თვე 2 თვე 1 თვე	100 ლარი 200 ლარი 300 ლარი
4	სერტიფიკატის დუბლიკატის გაცემა		10 ლარი

2.5. ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელებისა და წყლის სასაქონლო პროდუქციის უენებლობისა და ხარისხის ჰიგიენური ნორმატივები

ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელებისა და წყლის სასაქონლო პროდუქციის უენებლობისა და ხარისხის მაჩვენებლები და მათი ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები (ზღკ) მოცემულია შემდეგ ნორმატიულ აქტებში:

- „სასურსათო ნედლეულისა და კვების პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოების სანიტარიული წესებისა და ნორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს №301/ნ ბრძანება;
- „ყურძნის ღვინოების წარმოების ზოგადი წესებისა და რეგლამენტების შესახებ დებულების“, „ტექნოლოგიური პროცესების აღრიცხვის წესის შესახებ დებულების“, „მევენახეობა-მელვინეობის დარგში სასაქონლო პროდუქციის წარმოებას-

თან და რელიზაციასთან დაკავშირებული საქმიანობის სავალდებულო შეტყობინების წესის შესახებ დებულების“ დამტკიცების შესახებ საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის 2003 წლის 6 მარტის №2-51 ბრძანება;

- „სასამელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 17 დეკემბრის №349/ნ ბრძანება;
- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 27 ნოემბრის №306/ნ ბრძანება „ჰიგიენური მოთხოვნები ჩამოსხმული სასამელი წყლის ხარისხისადმი“;
- საქართველოს ეროვნული სტანდარტი სსტ 53:2006 „წყლები ნატურალური მინერალური ჩამოსხმული“.

ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტების მიხედვით:

- **ყველა სახეობის ალკოჰოლიან სასმელებში** ნორმირდება ტოქსიკური ელემენტები და რადიონუკლიდები;
- **ღვინოში, არაყსა და კონიაკში** დამატებით ნორმირდება მეთანოლი.
- **ლუდში** დამატებით ნორმირდება მეზოფილური აერობული და ფაკულტატურ-ანაერობული მიკროორგანიზმები (მაფანმრ), ნაწლავის ჩხირის ჯგუფის ბაქტერიები (კოლიფორმები), პათოგენები, მ.შ. სალმონელები, საფუარისა და ობის სოკოები და N ნიტროზამინები;
- **ულკოჰოლო სასმელებში** ნორმირდება ტოქსიკური ელემენტები, მიკოტოქსინები, ნიტრატები, პესტიციდები, რადიონუკლიდები, მეზოფილური აერობული და ფაკულტატურ-ანაერობული მიკროორგანიზმები (მაფანმრ), ნაწლავის ჩხირის ჯგუფის ბაქტერიები (კოლიფორმები), პათოგენები მ.შ. სალმონელები, ასევე საფუარისა და ობის სოკოები;
- **წყლის სასაქონლო პროდუქციაში** ნორმირდება ტოქსიკური ელემენტები, ნიტრატები, ნიტრიტები, პესტიციდები, ზედაპირულად აქტიური ნივთიერებები, პოლიქლორბიფენილები, ნავთობპროდუქტები, პოლიციკლური არომატული ნახშირწყალბადები, რადიონუკლიდები, მეზოფილური აერობული და ფაკულტატურ-ანაერობული მიკროორგანიზმები (მაფანმრ), საერთო კოლიფორმული ბაქტერიები, E.coli (ნაწლავის ჩხირი), სულფიტმარედუცირებელი კლოსტრიდიები, ფეკალური სტრეპტოკოკები, პათოგენები, მ.შ. სალმონელები, Pseudomonas aeruginosa (გრამუარყოფითი აერობული ბაქტერია), ლამბლიების ცისტები, დიზინტერული ამებას ცისტები და სხვა.

„ყურძნის ღვინოების წარმოების ზოგადი წესებისა და რეგლამენტების შესახებ დებულების“, „ტექნოლოგიური პროცესების აღრიცხვის წესის შესახებ დებულების“, „მევენახეობა-მელვინეობის დარგში სასაქონლო პროდუქციის წარმოებასთან და რელიზაციასთან დაკავშირებული საქმიანობის სავალდებულო შეტყობინების წესის შესახებ დებულების“ დამტკიცების შესახებ საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის 2003 წლის 6 მარტის №2-51 ბრძანების მიხედვით, ყურძნის ღვინოები უნდა იყოს უხადო, მდგრადი, მიკრობიოლოგიურად ჯანსაღი, უნაღვეო, მექანიკური მინარევების გარეშე, ყურძნის ჯიშითა და წარმოების ტექნოლოგიით განპირობებული ფერითა და ორგანოლექტიკური მახასიათებლებით.

სუფრის ღვინოებში ტიტრული მჟავიანობა არ უნდა იყოს 4,0 გ/დმ³-ზე ნაკლები, ხოლო მხარისა და ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოებში - 5,0 გ/დმ³-ზე ნაკლები.

ყურძნის ღვინოებში ფაქტობრივი მოცულობითი სპირტმემცველობისა და შაქრიანობის ნორმატივები მოცემულია ზემოაღნიშნული ბრძანების პირველ დანართში.

ფაქტობრივი მოცულობითი სპირტმემცველობა, შაქრიანობა და მჟავიანობა კონკრეტული დასახელების ღვინისათვის უნდა განისაზღვროს ტექნოლოგიური ინსტრუქციით, რომელიც მტკიცდება უშუალოდ მენარმე სუბიექტის მიერ.

კონკრეტული დასახელების ღვინისათვის ფაქტობრივი მოცულობითი სპირტმემცველობის, შაქრიანობისა და მჟავიანობის დადგენილი ზღვრული მნიშვნელობის შემთხვევაში ამ ზღვრიდან გადახრა დაუშვებელია.

თუ კონკრეტული დასახელების ღვინისათვის ზღვრული მნიშვნელობები დადგენილი არ არის, ამ შემთხვევაში დასაშვებია ტექნოლოგიურ ინსტრუქციაში მითითებული ნორმიდან გადახრა:

- ფაქტობრივი მოცულობითი სპირტმემცველობისა $\pm 0,5\%$;
- შაქრიანობისა $\pm 5,0$ გ/დმ³ (მშრალი ღვინოების გარდა);
- მჟავიანობისა $\pm 1,0$ გ/დმ³.

თავისუფალი გოგირდოვანი მჟავის შემცველობა ყურძნის ღვინოში არ უნდა აღემატებოდეს 30 მგ/დმ³.

დასაშვებია სუფრის ღვინის მჟავიანობის გაზრდა ღვინის მჟავით, არაუმეტეს 2გ/დმ³-ით, ან ლიმონმჟავით, არაუმეტეს 1 გ/დმ³-ით.

მჟავიანობის შემცირება დასაშვებია არაუმეტეს 1 გ/დმ³-ით.

ყურძნის ღვინოების ზოგიერთი ფიზიკო-ქიმიური მაჩვენებელი და მათი ნორმატივები მოცემულია ცხრილში №4.

ღვინო ამ წესების დარღვევით წარმოებულად ითვლება, თუ მასში:

- უშაქრო (დაყვანილი) ექსტრაქტი <15 გ/ლ;
- აქროლადი მჟავები $<0,12$ გ/ლ;
- შეიცავს ხელოვნურ საღებავს;
- ჰიბრიდული დანამატი (მალვიდინდიგლუკოზიდი) >15 მგ/ლ;
- დიეთილენგლიკოლი >10 მგ/ლ;
- ციკლური დიგლიცერინები $>0,2$ მგ/ლ;
- საქაროზა >6 გ/ლ;
- ორგანული მჟავების სპექტრის ქრომატოგრამა არ არის ტიპური ღვინისათვის;
- ღვინის მჟავის, ვაშლმჟავისა და რძემჟავის ჯამური ოდენობა <2 გ/ლ.

საკვებდანამატების გამოყენების სანიტარული წესებისა და ნორმების დამტკიცების შესახებ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს №311/ნ ბრძანება არეგულირებს ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელებისა და წყლის სასაქონლო პროდუქციის წარმოებაში საკვებდანამატების გამოყენებასა და მათი ზღვრულად დაშვებულ კონცენტრაციებს. ზოგიერთი საკვებდანამატის ზღვრულად დაშვებული კონცენტრაციები მოცემულია ცხრილში №5.

ყურძნის ღვინოების ფიზიკო-ქიმიური მაჩვენებლები და მათი ნორმატივები

№	პროდუქტი	აქროლადი მჟავიანობა	გოგირდოვანი მჟავა	დაყვანილი ექსტრაქტი	მეტალები
1	თეთრი ღვინო	$\leq 1,0$ გ/დმ ³	≤ 210 მგ/დმ ³ (თუ შაქრიანობა < 5 გ/დმ ³) ≤ 260 მგ/დმ ³ (თუ შაქრიანობა > 5 გ/დმ ³)		
2	ვარდისფერი ღვინო	$\leq 1,1$ გ/დმ ³	≤ 210 მგ/დმ ³ (თუ შაქრიანობა < 5 გ/დმ ³) ≤ 260 მგ/დმ ³ (თუ შაქრიანობა > 5 გ/დმ ³)		
3	წითელი და დურდოზე დუღილით მიღებული თეთრი ღვინოები	$\leq 1,2$ გ/დმ ³			
4	წითელი ღვინო		≤ 160 მგ/დმ ³ (თუ შაქრიანობა < 5 გ/დმ ³) ≤ 210 მგ/დმ ³ (თუ შაქრიანობა > 5 გ/დმ ³)	≥ 20 გ/დმ ³	
5	დურდოზე დუღილით მიღებული თეთრი ღვინო			≥ 18 გ/დმ ³	
6	ღვინო (გარდა წითელი და დურდოზე დუღილით მიღებული თეთრი ღვინოებისა)			≥ 16 გ/დმ ³	
7	ყველა სახის ღვინო				რკინა ≤ 10 მგ/დმ ³ ; სპილენძი ≤ 5 მგ/დმ ³ ტყვია $\leq 0,3$ მგ/კგ დარიშხანი $\leq 0,2$ მგ/კგ კადმიუმი $\leq 0,03$ მგ/კგ ვერცხლისწყალი $\leq 0,005$ მგ/კგ მეთანოლი $\leq 0,05$ მგ/კგ

ზოგიერთი საკვებდანამატის ზღვრულად დაშვებული კონცენტრაციები

№	საკვებდანამატი	სასურსათო პროდუქტი	ზღვრულად დაშვებული კონცენტრაცია არაუმეტეს
1	ასკორბინის მჟავა	მინერალური წყალი ღვინო	100 მგ/ლ 150 მგ/ლ
2	ასკორბინმჟავა ნატრიუმი	უალკოჰოლო სასმელები	1700 მგ/ლ
3	ღვინო-ქვის მჟავა	ღვინო	2000 მგ/ლ
4	ლიმონმჟავა	ღვინო	2000 მგ/ლ
5	გოგირდოვანი ანჰიდრიდი	ყურძნის წვენი ხილის წვენები სიდრი ყურძნის მშრალი ღვინო ყურძნის ნახევრადტკბილი ღვინო ხილ-კენკროვანი ღვინო	6 მგ/ლ 100 მგ/ლ 150 მგ/ლ 200 მგ/ლ 300 მგ/ლ 400 მგ/ლ
6	სორბინის მჟავა	ღვინო უალკოჰოლო სასმელები ხილ-კენკროვანი წვენები	300 მგ/ლ 500 მგ/ლ 1000 მგ/ლ

3. საერთაშორისო ხელშეკრულებები

ალკოჰოლიანი სასმელების წარმოების სფეროში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციასთან (O.I.V. International Organization of Vine and Wine) თანამშრომლობას, რომელიც მთავრობათაშორის სამეცნიერო და ტექნიკური ხასიათის ორგანიზაციას წარმოადგენს.

ორგანიზაცია ეწევა ვაზთან, ღვინოსთან და მისგან წარმოებულ სასმელებთან, ყურძენთან, ჩამოხთან და სხვა სახის ყურძნის პროდუქტებთან დაკავშირებულ საქმიანობას.

2010 წლიდან საქართველო არის ღვინით ვაჭრობის მსოფლიო ჯგუფის¹³ წევრი ქვეყანა. 2007 წლის 23 იანვარს კანბერაში დადებული „ეტიკეტირების მოთხოვნების შესახებ“ და 2001 წლის 18 დეკემბერს ტორონტოში დადებული „ენოლოგიური პრაქტიკის ურთიერთაღიარების შესახებ“ ღვინით ვაჭრობის მსოფლიო ჯგუფის შეთანხმებებიდან გამომდინარე ყველა მონაწილე მხარე უფლებამოსილია, საერთაშორისო ვალდებულებების გათვალისწინებითა და ადამიანის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით, განახორციელოს მის შესაბამის ტერიტორიაზე იმპროტირებული ღვინის შემოწმება.

სერტიფიცირების აუცილებლობისას (შესაბამისობის, წარმოშობის და ჰიგიენური სერტიფიკატები), ღვინით ვაჭრობის მსოფლიო ჯგუფის წევრ ქვეყნებს შეუძლიათ აღიარონ სერტიფიცირების სახელმწიფო ორგანოს ან ექსპორტიორი ქვეყნის მიერ აღიარებული სერტიფიცირების ორგანოს მიერ გაცემული სერტიფიკატები. საგულისხმოა რომ, სერტიფიცირების პროცედურა უნდა შეესაბამებოდეს ვმო¹⁴-ს შეთანხმებას.

2011 წლის 14 ივლისს ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული იქნა შეთანხმება „სოფლის მეურნეობისა და სასურსათო პროდუქტების გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის შესახებ“. ხსენებული შეთანხმება რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის და ევროპარლამენტის მიერ და შესულია ძალაში.

ეს შეთანხმება არეგულირებს იმ გეოგრაფიული აღნიშვნების აღიარებასა და დაცვას, რომლებიც წარმოშობილია ხელშემკვრელ მხარეთა ტერიტორიებიდან.

წინამდებარე შეთანხმებით დაცული სახელის გამოყენება შესაძლებელია ნებისმიერი იმ ოპერატორის მიერ, რომელსაც ბაზარზე გააქვს სოფლის მეურნეობისა და სასურსათო პროდუქტები, ღვინო, არომატიზებული ღვინოები ან სპირტიანი სასმელები და რომლებიც შეესაბამებიან შესაბამისი პროდუქტისათვის დადგენილ მოთხოვნებს. ამჟამად, ამ შეთანხმებით, ევროკავშირში მხოლოდ ქართული ღვინოების გეოგრაფიული დასახელებებია დაცული. ევროკავშირში დაცული ქართული ღვინოების გეოგრაფიული დასახელებების ჩამონათვალი მოცემულია ცხრილში №6.

13 ღვინით ვაჭრობის მსოფლიო ჯგუფი (WWTG - World Wine Trade Group. www.wwtg-gmcv.org) „შეთანხმება ღვინის ეტიკეტირებასთან დაკავშირებულ მოთხოვნათა შესახებ“.

14 ვმო – ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია (WTO - World Trade Organization. www.wto.org) საქართველო ამ ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრია 2000 წლიდან.

ქართული ღვინოები, რომელთა გეოგრაფიული დასახელებაც დაცულია ევროკავშირში

№	დასაცვი სახელი	ტრანსლიტერაცია ლათინურ ენაზე
1	ახაშენი	Akhasheni
2	ატენური	Atenuri
3	გურჯაანი	Gurjaani
4	კახეთი (კახური)	Kakheti (Kakhuri)
5	კარდენახი	Kardenakhi
6	ხვანჭკარა	Khvanchkara
7	კოტეხი	Kotekhi
8	ქინძმარაული	Kindzmarauli
9	ყვარელი	Kvareli
10	მანავი	Manavi
11	მუკუზანი	Mukuzani
12	ნაფარეული	Napareuli
13	სვირი	Sviri
14	თელიანი	Teliani
15	ტიბაანი	Tibaani
16	წინანდალი	Tsinandali
17	ტვიში	Tvishi
18	ვაზისუბანი	Vazisubani

საქართველო 2004 წლის 17 თებერვლიდან მიერთებულია „ადგილწარმოშობის და-სახელებების დაცვისა და მათი საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ“ ლისაბონის შეთანხმებას¹⁵, რომლის მიზანია უზრუნველყოს ადგილწარმოშობის დასახელებების დაცვა, ანუ დაცვა ქვეყნის, რეგიონის ან ადგილის გეოგრაფიული სახელისა, რომელიც გამოიყენება იქ წარმოშობილი პროდუქტის მოსანიშნად და რომლის ხარისხი და მახასიათებლები მთლიანად ან არსებითად განპირობებულია გეოგრაფიული გარემო-თი, ბუნებრივი და ადამიანის ფაქტორების ჩათვლით.

ასეთი სახელები რეგისტრირდება ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (ისმო)¹⁶ საერთაშორისო ბიუროს მიერ, ყენევის სამრეწველო ნიმუშების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ შეთანხმების მონაწილე სახელმწიფოთა უფლებამოსილი ორგანოების მოთხოვნის საფუძველზე.

15 ლისაბონის შეთანხმება „ადგილწარმოშობის დასახელების დაცვისა და მათი საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ“ დადებული იქნა 1958 წელს. შეთანხმების ტექსტი და წვერი ქვეყნების სია იხ. ვებგვერდზე www.wipo.int და www.sakpatenti.org.ge.

16 ისმო - ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია (WIPO - World Intellectual Property Organization. www.wipo.int)

4. ევროკავშირში მოქმედი სამართლებრივი რეგულირება

4.1. ზოგადი და სპეციფიკური მოთხოვნები ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელებისა და წყლის სასაქონლო პროდუქტების საქართველოდან ევროკავშირის ბაზარზე იმპორტისას

იმისათვის, რომ ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების და წყლის სასაქონლო პროდუქტის დაშვებულ იქნას ევროკავშირის ბაზარზე, მათ უნდა დააკმაყოფილონ ევროკავშირის ზოგადი და სპეციფიკური მოთხოვნები. ასევე გადახდილი უნდა იქნას შესაბამისი გადასახადები (დღგ, სააქციზო გადასახადი). ინფორმაცია ზემოხსენებული მოთხოვნების და გადასახადების შესახებ შეიძლება მოვიძიოთ ევროკომისიის მიერ შექმნილ [Export Helpdesk](#)-ზე, რომელიც მესამე ქვეყნებიდან ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტის ხელშეწყობის მიზნით შექმნილ უფასო ინტერნეტ მომსახურებას წარმოადგენს. [Export Helpdesk](http://www.exporthelp.europa.eu)-ის ინტერნეტ-მისამართია: www.exporthelp.europa.eu. იგი 6 ენაზე (ინგლისური, ფრანგული, ესპანური, პორტუგალიური, არაბული და რუსული) ფუნქციონირებს. [Export Helpdesk](#)-ში ინფორმაცია სისტემატიზირებულია ცალკეული პროდუქტების მიხედვით. ამ ინფორმაციის მისაღებად გამოყენებული უნდა იქნას ე.წ. სასაქონლო კოდი. სასაქონლო კოდები აიღება ევროკავშირის კომბინირებული ნომენკლატურიდან, რომელიც კოდირების საერთაშორისო კლასიფიკაციას, ე.წ. ჰარმონიზებულ სისტემას ეფუძნება. ევროკავშირის კომბინირებული ნომენკლატურა [ევროკავშირის საბჭოს 1987 წლის 23 ივლისის N 2658 რეგულაციით](#) რეგულირდება.

ინფორმაცია ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების და წყლის სასაქონლო პროდუქტის ევროკავშირის ბაზარზე იმპორტისას არსებული ზოგადი და სპეციფიკური მოთხოვნების, ასევე დამატებითი ღირებულების გადასახადის (დღგ) შესახებ, [Export Helpdesk](#)-ის სექციიდან [მოთხოვნები და გადასახადები \(Requirements and Taxes\)](#) შეგვიძლია მივიღოთ.

ზოგადი მოთხოვნები

ევროკავშირის ბაზარზე ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების და წყლის სასაქონლო პროდუქტის იმპორტზე ერთნაირი ზოგადი მოთხოვნებია. ევროკავშირის ბაზარზე ამ სახეობის პროდუქტების იმპორტისას, საბაჟო პროცედურების გასაველიად, მათ თან უნდა ახლდეს შემდეგი დოკუმენტები:

- **კომერციული ანგარიშ-ფაქტურა**, რაც წარმოადგენს დასტურს, იმპორტიორსა და ექსპორტიორს შორის გარიგების შედგომის შესახებ. ხსენებული დოკუმენტი უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: იმპორტიორის და ექსპორტიორის დასახელება და მისამართი, დოკუმენტის შედგენის თარიღი და ნომერი, საქონლის აღწერა (დასახელება, ხარისხი და სხვ.), საზომი ერთეული, საქონლის რაოდენობა, საქონლის ერთეულის ღირებულება, საქონლის მთლიანი ღირებულება, ანგარიშ-ფაქტურის ფაქტური ღირებულება და ვალუტა, რომელშიც ხდება ანგარიშგება, გადახდის პირობები (ფორმა, ვადა, ფასდაკლება და სხვ.), მიწოდების პირობები და ტრანსპორტირების ფორმა;
- **საფრახტო (სატრანსპორტო) დოკუმენტი**, რომლის სახეობა დამოკიდებულია გამოყენებულ სატრანსპორტო საშუალებებზე. გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებების შესაბამისად, ტვირთს თან უნდა ახლდეს:

- ✓ **კონოსამენტი.** ეს დოკუმენტი ტვირთს უნდა ახლდეს საზღვაო გადაზიდვისას;
- ✓ **კონოსამენტი FIATA.** ეს დოკუმენტი ტვირთს უნდა ახლდეს შერეული გადაზიდვისას. ხსენებული დოკუმენტი შემუშავებული იქნა გამაზიდავთა ასოციაციების საერთაშორისო ფედერაციის (FIATA) მიერ;
- ✓ **საავტომობილო-სატრანსპორტო ზედღებუღი (CMR).** ეს დოკუმენტი ტვირთს უნდა ახლდეს საგზაო გადაზიდვისას;
- ✓ **საავიაციო-სატრანსპორტო ზედღებუღი (AWB).** ეს დოკუმენტი ტვირთს უნდა ახლდეს საჰაერო გადაზიდვისას;
- ✓ **სარკინიგზო-სატრანსპორტო ზედღებუღი (CIM).** ეს დოკუმენტი ტვირთს უნდა ახლდეს სარკინიგზო გადაზიდვისას;
- ✓ **ATA კარნეტი.** ეს საერთაშორისო საბაჟო დოკუმენტი გამოიყენება ევროკავშირის ტერიტორიაზე საქონლის დროებით შემტანისას, საბაჟო გადასახადებისა და მოსაკრებუღებისგან გათავისუფლებების მიზნით. ATA კარნეტი შეიღლება გაიცეს ისეთი კატეგორიის ტვირთებზე, როგორიცაა, მაგალითად: კომერციული ნიმუშები, საგამოფენო და საპრეზენტაციო დანიშნუღების საქონელი და სხვ.;
- ✓ **TIR კარნეტი.** ეს საბაჟო სატრანზიტო დოკუმენტი გამოიყენება ტვირთის საერთაშორისო გადაზიდვისას, რომლის ნაწიღი საგზაო გადაზიდვის სახით ხორციელდება. TIR კარნეტი ტვირთის TIR პროცედურით ტრანსპორტირების საშუალებას იღლევა. TIR სისტემის მოთხოვნით, ტვირთი უსაფრთხო სატრანსპორტო საშუალებებით ან კონტინერებით უნდა იქნას გადაზიდული; ყვეღა საბაჟო გადასახადი ან მოსაკრებელი, რომელიც ტვირთის ტრანსპორტირებისას შეიღლება წარმოიქმნას, უზრუნველყოფიღი უნდა იქნას საერთაშორისო გარანტიით; ტვირთს თან უნდა ახლდეს TIR კარნეტი და ტვირთის გამგზავნი ქვეყნის საბაჟო კონტროლის პროცედურები აღიარებული უნდა იქნას სატრანზიტო და ტვირთის მიმღები ქვეყნების მიერ;
- **შეფუთვის ნუსხა,** რაც წარმოადგენს კომერციულ დოკუმენტს და იღლევა ინფორმაციას ექსპორტიორის, იმპორტიორის, გამაზიდავის, ტვირთის შეფუთვების რაოდენობის, სახეობის, მარკირების, ნუმერაციის, ცალკეული შეფუთვის შემადგენლობის, წონის (ნეტო და ბრუტო) და გაბარიტების შესახებ;
- **საბაჟო ღირებუღების დეკლარაცია,** რაც უნდა ახლდეს ტვირთს, თუ მისი საბაჟო ღირებუღება 10 ათას ევროს აღემატება. საბაჟო ღირებუღების დეკლარაცია შევსებული უნდა იქნას [ევროკომისიის 1993 წლის 2 ივლისის N 2454/93 რეგულაციის 28-ე](#) დანართში მოცემული DV1 ფორმის მიხედვით. ხსენებული დოკუმენტი არ მოითხოვება თუ:
 - ✓ იმპორტირებული ტვირთის საბაჟო ღირებუღება 10 ათას ევროზე ნაკლებია;
 - ✓ იმპორტირებული ტვირთი არაკომერციული დანიშნუღებისაა;
 - ✓ იმპორტირებული ტვირთი თავისუფალია ევროკავშირის საბაჟო გადასახადისგან;
- **ტვირთის დაზღვევა,** რაც წარმოადგენს მნიშვნელოვან დოკუმენტს, რომლის მიხედვითაც, აუცილებლობის შემთხვევაში, ზდება დაზღვეუღის ზარალის ანაზღაურება. საბაჟო პროცედურების გავლისას დაზღვევის ანგარიშ-ფაქტურის წარდგენა მხოლოდ იმ შემთხვევაშია აუცილებელი, თუ დაზღვევისთვის გადახდიღი თანხის ოდენობა არ არის მითითებული კომერციულ ანგარიშ-ფაქტურაში;

- **საბაჟო საიმპორტო დეკლარაცია**, რაც წარდგენილი უნდა იქნას ევროკავშირის შესაბამისი წვერი ქვეყნის საბაჟო სამსახურისთვის, საქონლის ევროკავშირის ბაზარზე იმპორტისას. ევროკავშირის საიმპორტო დეკლარაციის ფორმა უნი-ფიცირებულია, იგი ერთნაირია ევროკავშირის წვერი ყველა ქვეყნისთვის და მოცემულია [ევროკავშირის საბჭოს 1992 წლის 19 ნოემბრის N 2913/92 რეგულაციით](#) დამტკიცებულ ევროკავშირის საბაჟო კოდექსში (Single Administrative Document - SAD). ეს დეკლარაცია შევსებული უნდა იქნას ევროკავშირის ერთ-ერთ ოფიციალურ ენაზე, რომელსაც ცნობს ევროკავშირის წვერი ის ქვეყანა, რომლის საზღვარსაც პირველად კვეთს საიმპორტოდ გამიზნული პროდუქტი.

სპეციფიკური მოთხოვნები

ევროკავშირის ბაზარზე ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების და წყლის სასაქონლო პროდუქციის იმპორტისას უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი სპეციფიკური მოთხოვნები:

- სანიტარული კონტროლი (იხ. ქვეთავი 4.2.);
- ეტიკირება (იხ. ქვეთავი 4.3.);
- დამაბინძურებელი ნივთიერებების კონტროლი (იხ. ქვეთავი 4.4.);
- სერტიფიკატი ფორმა VI 1-ის წარდგენა - მხოლოდ ღვინის, ყურძნის წვენისა და ახალგაზრდა ღვინის შემთხვევაში (იხ. ქვეთავი 4.5.2.).

გადასახადები

საგულისხმოა, რომ ევროკავშირის წვერი ცალკეული ქვეყანა, საქონლის სხვადასხვა სახეობაზე განსხვავებული ოდენობის **დამატებითი ღირებულების გადასახადს** (დღგ) აწესებს. დღგ-ს გადახდა ხდება საქონლის მიერ ევროკავშირის საზღვრის გადაკვეთის მომენტში. ევროკავშირში დღგ რეგულირდება [ევროკავშირის საბჭოს 2006 წლის 28 ნოემბრის No 2006/112/EC დირექტივით](#).

ინფორმაცია, ცალკეული ქვეყნების მიხედვით, სხვადასხვა სახეობის პროდუქციაზე (მ.შ. ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების და წყლის სასაქონლო პროდუქციაზე) დაწესებული დღგ-სა და **სააქციზო გადასახადის** შესახებ შეიძლება მიღებული იქნას Export Helpdesk-ის სექციიდან [მოთხოვნები და გადასახადები - სპეციფიკური მოთხოვნები \(Requirements and Taxes - Specific requirements\)](#).

სააქციზო გადასახადები გადაიხდება ევროკავშირის ბაზარზე ალკოჰოლიანი სასმელების იმპორტისას. რაც შეეხება უალკოჰოლო სასმელებსა და წყლის სასაქონლო პროდუქციას, ევროკავშირის ბაზარზე მათი იმპორტი სააქციზო გადასახადით არ იბეგრება.

აღსანიშნავია რომ 1968 წლის 1 ივლისიდან ევროკავშირში დაწესდა ერთიანი საიმპორტო ტარიფები.

ინფორმაცია საქართველოდან ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების და წყლის სასაქონლო პროდუქციაზე არსებული **საიმპორტო ტარიფების** შესახებ, Export Helpdesk-ის სექციიდან [საიმპორტო ტარიფები \(Import tariffs\)](#) შეგვიძლია მივიღოთ.

როგორც Export Helpdesk-იდან მიღებული ინფორმაციიდან ჩანს, საქართველო წარმოადგენს პრეფერენციათა განზოგადებული სისტემის სპეციალური სექციით, GSP+ -ით მოსარგებლე ქვეყანას და, შესაბამისად, საქართველოდან ევროკავშირის

ბაზარზე წყლის სასაქონლო პროდუქციის და უალკოჰოლო სასმელების იმპორტი გა-
თავისუფლებულია საიმპორტო გადასახადიდან, რასაც ვერ ვიტყვით ალკოჰოლიანი
სასმელების იმპორტზე. იმისათვის რომ საქონელმა ისარგებლოს GSP+ -ით გათვა-
ლისწინებული შეღავათებით, ეს საქონელი წარმოებული უნდა იყოს GSP+ -ით მო-
სარგებლე ქვეყანაში. საქონლის წარმოება დადასტურებული უნდა იქნას წარმოშო-
ბის სერტიფიკატით. შესაბამისად, ევროკავშირის საზღვრის გადაკვეთისას საქონელს,
სხვა აუცილებელ დოკუმენტაციასთან ერთად, უნდა ახლდეს სპეციალური წარმო-
შობის სერტიფიკატი – სერტიფიკატი ფორმა A, რომელსაც საქონლის წარმოშობის
ქვეყნის უფლებამოსილი ორგანო გასცემს. საქართველოში, დღევანდელ დღეს, სერ-
ტიფიკატი ფორმა A-ს გასცემენ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტ-
რო, შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტი და სავაჭრო-სამრეწველო
პალატა.

*საყურადღებოა რომ წარმოშობის სერტიფიკატის გარეშე საქონლის ევროკავში-
რის ბაზარზე ექსპორტისას პრეფერენციული (შეღავათიანი) საიმპორტო ტარიფებით
სარგებლობა შეუძლებელია.*

4.2. ჰიგიენური მოთხოვნები

ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელებისა და წყლის სასაქონლო პროდუქციის
წარმოება, გადამუშავება, დისტრიბუცია და ექსპორტი რეგულირდება ევროკავშირში
მოქმედი სხვადასხვა ნორმატიული აქტებით როგორებიცაა, რეგულაციები, დირე-
ქტივები, გადაწყვეტილებები, სტანდარტები.

სურსათის უვნებლობის შესახებ ევროკავშირის მთავარ საკანონმდებლო აქტს
[ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს 2002 წლის 28 იანვრის №178/2002
რეგულაცია](#) წარმოადგენს. რეგულაცია შეეხება სურსათის შესახებ კანონის ზოგად
საფუძვლებსა და მოთხოვნებს, „სურსათის უვნებლობის საკითხში ევროპის უზენაესი
ორგანოს“ შექმნასა და პროცედურებს სურსათის უვნებლობის საკითხებთან დაკავ-
შირებით.

[ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს 2004 წლის 29 აპრილის №852/2004
რეგულაცია](#) აწესებს სურსათის, მათ შორის ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელებ-
ისა და წყლის სასაქონლო პროდუქციის ჰიგიენის ზოგად მოთხოვნებს, რომლებიც
ბიზნესოპერატორებმა უნდა დააკმაყოფილონ.

ამ რეგულაციის თანახმად, ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელებსა და წყლის
სასაქონლო პროდუქციასთან დაკავშირებული საფრთხე გამოვლენილი უნდა იქნეს
პირველადი წარმოების ეტაპზე და შესაბამისად გაკონტროლდეს, რათა დაცული იქნას
ზემოაღნიშნული მარეგულირებელი წესების მოთხოვნები.

ბიზნესოპერატორებს დანერგილი უნდა ქონდეთ სათანადო სანარმოო და ჰიგიე-
ნური პრაქტიკა (GMP, GHP).

ბიზნესოპერატორების მიმართ უნდა განხორციელდეს ოფიციალური კონტროლი,
რათა შემოწმდეს რამდენად იცავენ ისინი წარმოებისადმი წაყენებულ მოთხოვნებს,
ხოლო მათ უნდა შეიმუშაონ უსაფრთხოების პროგრამები და პროცედურები HACCP
-ის პრინციპებზე დაყრდნობით.

სურსათის ჰიგიენის შესახებ დანვრილებითი ინფორმაცია მოცემულია ევროკავში-
რი-საქართველოს ბიზნეს საბჭოს (EUGBC) მიერ 2012 წელს გამოცემული პუბლიკა-
ციის: „[რეზოლუცია ევროკავშირის საპარლამენტო დელეგაციის მიერ ევროკავშირის ბაზარზე არაცხოველური
წარმოშობის სურსათის ექსპორტისათვის](#)“, ქვეთავში 3.1.

4.3. ეტიკეტირება

4.3.1. ზოგადი ნაწილი

სურსათის, მათ შორის ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელებისა და წყლის სასაქონლო პროდუქციის ეტიკეტირების ზოგად წესებს არეგულირებს [ევროკავშირის საბჭოსა და ევროპარლამენტის 2000 წლის 20 მარტის №2000/13/EC დირექტივა](#).

აღნიშნული დირექტივა ეხება მომხმარებლისათვის მისაწოდებელი ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელებისა და წყლის სასაქონლო პროდუქციის ეტიკეტირებას, მისი წარდგენის და რეკლამირების კონკრეტულ ასპექტებს.

ეს დირექტივა ავალდებულებს ადგილობრივ მწარმოებლებსა და იმპორტიორებს მკაცრად დაიცვან დადგენილი წესები და მოთხოვნები.

ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელებისა და წყლის სასაქონლო პროდუქციის ეტიკეტზე აუცილებელად უნდა იყოს მითითებული შემდეგი ინფორმაცია:

- დასახელება;
- მწარმოებლის, დამფასებლის, ან ევროკავშირის ბაზარზე დისტრიბუტორის სახელი და მისამართი;
- წარმოშობის ქვეყანა და წარმოშობის ადგილი;
- რაოდენობა (ლიტრი, მილილიტრი);
- ვარგისიანობის ვადა სიტყვებით ვარგისია - (თარიღი)-მდე ან ვარგისია (თარიღი)-ის ბოლომდე. ისეთი სურსათის, მ.შ. უალკოჰოლო სასმელების შემთხვევაში, რომელიც არ ინახება სამ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში, საკმარისია დღისა და თვის მითითება; რომელიც ინახება სამ თვეზე მეტ ხანს, მაგრამ არა უმეტეს 18 თვისა, საკმარისია თვის და წლის მითითება; რომელიც ინახება 18 თვეზე მეტ ხანს, საკმარისია მხოლოდ წლის მითითება;
- შენახვის ან გამოყენების რაიმე განსაკუთრებული პირობები;
- შემადგენელი **ინგრედიენტების**¹⁷ ჩამონათვალი;
- ზოგიერთ კომპონენტთან დაკავშირებით მოითხოვება განსაზღვრული ნიშანი ეტიკეტზე (მაგ: გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმები, წარმოებაში გამოყენებული აირები, დამატებული ნივთიერებები, ასპარტამი, კოფეინი, ქინინი და სხვა).

აკრძალულია ისეთი ინფორმაციის გამოყენება, რომელმაც შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს მომხმარებელი:

- ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელებისა და წყლის სასაქონლო პროდუქციის თვისებებთან, განსაკუთრებით კი მის ხარისხთან, შემადგენლობასთან, რაოდენობასთან, წარმოების ადგილთან ან წარმოშობასთან და წარმოების მეთოდთან დაკავშირებით;
- ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელებსა და წყლის სასაქონლო პროდუქციაზე ისეთი ეფექტების ან თვისებების მიწერით, რომელსაც ის არ ფლობს;
- კონკრეტული ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელებისა და წყლის სასაქონლო პროდუქციისთვის ისეთი სპეციალური თვისებების მიწერით, რომელსაც სხვა მსგავსი პროდუქტიც ფლობს.

¹⁷ ინგრედიენტი ნიშნავს ნებისმიერ ნივთიერებას, მათ შორის დანამატს, რომელიც გამოყენებულია საკვები პროდუქტის წარმოებაში ან მომზადებაში და არსებობს მზა პროდუქტში, თუნდაც შეცვლილი ფორმით.

ეტიკეტზე განთავსებული ინფორმაციის აკრძალვა ან შეზღუდვა ასევე ეხება:

- სურსათის წარდგენას, კერძოდ მის ფორმას, ვიზუალურ მხარეს ან შეფუთვის, გამოყენებულ შესაფუთ მასალას, მომზადების მეთოდს;
- რეკლამირებას.

ევროპის პარლამენტის და ევროკავშირის საბჭოს 2003 წლის 10 ნოემბრის №2003/89/EC დირექტივის მიხედვით, ალერგიული ეფექტის მქონე ინგრედიენტები, ტექნოლოგიური დანამატები და სხვა ნივთიერებები ექვემდებარება ეტიკეტზე აუცილებელ აღნიშვნას, რათა მომხმარებლები, რომლებსაც ამ პროდუქტების მიმართ ალერგია აქვთ სათანადოდ იყენებდნენ ინფორმირებული.

ევროპის პარლამენტის და ევროკავშირის საბჭოს 2008 წლის 16 დეკემბრის №1333/2008 რეგულაციის მიხედვით, ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების მარკირების დროს აუცილებელია დამატებითი ინფორმაციის წარდგენა წარმოებაში გამოყენებული შემდეგი საკვები საღებავების შესახებ: E102 (ტარტრაზინი); E104 (ქინოლინისებრი ყვითელი); E110 (ყვითელი მზის ჩასვლა); E122 (აზორუბინი, კარმუაზინი); E124 (პონსო 4R, ალისფერი 4R); E129 (ნითელი მომხიბვლელი AC).

აღნიშნულმა საღებავებმა შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიონ ბავშვების აქტიურობასა და ყურადღებაზე.

სასურსათო პროდუქტში, რომელშიც გენეტიკურად მოდიფიცირებული კომპონენტები სურსათის საერთო მასის 0,9 %-ზე მეტია, ექვემდებარება ეტიკეტზე აუცილებელ აღნიშვნას. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს მიერ 2011 წლის 25 ოქტომბერს მიღებული იქნა რეგულაცია №1169/2011, რომელიც ადგენს სურსათის ეტიკეტის საკითხებს. ამ რეგულაციის მოთხოვნების ძირითადი ნაწილი შესასრულებლად სავალდებულო გახდება 2014 წლის 13 დეკემბრიდან.

4.3.2. ალკოჰოლიანი სასმელების ეტიკეტირება

ევროკავშირის საბჭოსა და ევროპარლამენტის 2000 წლის 20 მარტის №2000/13/EC დირექტივის მიხედვით ალკოჰოლის პროცენტული შემცველობა მითითებული უნდა იყოს მხოლოდ ისეთი ალკოჰოლიანი სასმელების ეტიკეტზე, რომელთა ალკოჰოლის შემცველობა 1,2 %-ს აღემატება.

ვარგისიანობის ვადის მითითება აუცილებელი არ არის:

- ღვინოებზე, ტკბილ ღვინოებზე, შუშხუნა ღვინოებზე, არომატიზირებულ ღვინოებზე და მსგავს პროდუქტებზე, რომლებიც მიიღება ხილისგან (გარდა ყურძნის) და ისეთ სასმელებზე, რომელიც შეესაბამება CN კოდებს¹⁸ 22060091, 22060093, 22060099 და ინარმოება ყურძნის ან ყურძნის ტკბილისაგან;
- ისეთ სასმელებზე, რომელთა ალკოჰოლის შემცველობა $\geq 10\%$;
- ალკოჰოლიან სასმელებზე, რომელიც განთავსებულია ხუთ ლიტრზე მეტი ტევადობის ცალკეულ ჭურჭელში და განსაზღვრულია საზოგადოებრივი დაწესებულებებისათვის.

18 CN - კომბინირებული ნომენკლატურა – ევროკავშირის საიმპორტო ტარიფის ერთიანი სტატისტიკური და სატარიფო ნომენკლატურა. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭოს 2008 წლის ბროშურა „ევროკავშირის ბაზარზე იმპორტირებული საქონლის დაბეგვის თავისებურება“ www.eugbc.net.

ევროკავშირის საბჭოს 2008 წლის 29 აპრილის №479/2008 რეგულაციის VI ნაწილის 59-ე მე-60 და 61-ე პუნქტებში მოცემულია ალკოჰოლიანი სასმელების ეტიკეტირებისა და წარდგენის მიმართ განსაზღვრული მოთხოვნები.

ამ რეგულაციის მიხედვით, ევროკავშირის ტერიტორიაზე რეალიზებული ალკოჰოლიანი სასმელების ეტიკეტზე **აუცილებლად** უნდა იყოს განთავსებული შემდეგი ინფორმაცია:

- პროდუქტის სახეობა;
- ადგილწარმოშობის დასახელების, ან გეოგრაფიული აღნიშვნის ღვინოების შემთხვევაში, ეტიკეტზე სავალდებულოა აღინიშნოს შემდეგი ტერმინები: „დაცული ადგილწარმოშობის დასახელება“, ან „დაცული გეოგრაფიული აღნიშვნა“ და ადგილწარმოშობისა და გეოგრაფიული აღნიშვნის სახელები;
- ფაქტობრივი მოცულობითი სპირტშემცველობა;
- წარმოშობის ქვეყანა;
- ჩამომსხმელის დასახელება;
- ევროკავშირში იმპორტიორის დასახელება;
- ცქრიალა ღვინის შემთხვევაში, დამატებით, აუცილებელია აღინიშნოს მწარმოებლის ან დისტრიბუტორის დასახელება და საერთო შაქრის შემცველობა.

ყურძნის ღვინის შემთხვევისთვის ეტიკეტზე დამატებით შესაძლებელია დატანილ იქნას:

- ყურძნის მოსავლის წელი;
- პროდუქტის დასამზადებლად გამოყენებული ერთი ან რამდენიმე ყურძნის ჯიში;
- შაქრიანობა;
- პროდუქტის ტრადიციული დასახელება;
- ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის სიმბოლო;
- პროდუქტის წარმოების მეთოდის დახასიათება.

ეტიკეტზე განთავსებული ინფორმაცია უნდა იყოს შესრულებული ევროკავშირის იმპორტიორი წევრი ქვეყნის ერთ ან რამდენიმე ოფიციალურ ენაზე.

ალკოჰოლიანი სასმელების ადგილწარმოშობის დასახელება უნდა აღინიშნოს აგრეთვე წარმოშობის ქვეყნის ენაზეც.

ევროპის პარლამენტის და ევროკავშირის საბჭოს 2003 წლის 10 ნოემბრის №2003/89/EC დირექტივის მიხედვით, ალკოჰოლიანი სასმელების ეტიკეტზე მითითებული უნდა იყოს აღნიშნულ სასმელებში შემავალი ყველა ის ინგრედიენტი, რომელსაც გააჩნია ალერგიული ეფექტი.

4.3.3. უალკოჰოლო სასმელებისა და წყლის სასაქონლო პროდუქციის ეტიკეტირება

ევროკავშირის საბჭოსა და ევროპარლამენტის 2000 წლის 20 მარტის №2000/13/EC დირექტივის მიხედვით, ვარგისიანობის ვადის მითითება აუცილებელი არ არის ტკბილ სასმელებზე, ხილის წვენებზე, ხილისგან მიღებულ სასმელებზე.

ევროკავშირის საბჭოს 2001 წლის 20 დეკემბრის №2001/112/EC დირექტივის მიხედვით, უალკოჰოლო სასმელების დასახელებები მათ ეტიკეტზე უნდა განთავსდეს ამ დირექტივის დანართი №1-ის შესაბამისად. ხსენებულ დანართში მოცემულია უალკოჰოლო სასმელების სახეობები, დასახელებები და მათი დახასიათება. კერძოდ:

ხილის წვენი

- ხილის წვენი - პროდუქტი, რომელიც მიღებულია ახალი, გაყინული ან დაკონსერვებული ერთი ან რამდენიმე სახეობის ხილის ნაყოფისგან, რომელსაც აქვს ამ სახეობის/სახეობების ხილისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფერი, სუნი და არომატი;
- ხილის წვენი დამზადებული კონცენტრატისგან - პროდუქტი, რომელიც მიიღება ხილის კონცენტრატზე წყლის დამატებით. აღდგენილ წვენს უნდა ჰქონდეს ხილის წვენის შესაბამისი ორგანოლექტიკური, ქიმიური და მიკრობიოლოგიური მაჩვენებლები, დამახასიათებელი ამ სახეობის ხილისთვის.

კონცენტრირებული ხილის წვენი - პროდუქტი, რომელიც მიღებულია ერთი ან რამდენიმე ხილისგან მიღებული წვენის დეჰიდრაციით, ფიზიკური მეთოდებით (წყლის წართმევა არანაკლებ 50%).

დეჰიდრირებული ხილის წვენი - პროდუქტი რომელიც მიღებულია ერთი ან რამდენიმე ხილის წვენისგან, რომელიც მთლიანად არის დეჰიდრირებული (თითქმის მთლიანად წართმეული აქვს წყალი).

ხილის ნექტარი - მიიღება ხილის, კონცენტრირებული ხილის წვენისა და დეჰიდრირებული ხილის წვენისგან წყლისა და შაქრის/თაფლის დამატებით. შაქრისა და თაფლის დამატება უნდა მოხდეს პროდუქტის საერთო მასის არაუმეტეს 20 %-ის ოდენობით. შაქრის შეცვლა შეიძლება მოხდეს სხვადასხვა დამატებობებით, რომელთა ჩამონათვალიც მოცემულია [ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს 2008 წლის 16 დეკემბრის №1333/2008 რეგულაციაში](#).

[ევროპარლამენტის და ევროკავშირის საბჭოს 2009 წლის 18 ივნისის №2009/54/EC დირექტივა](#) განსაზღვრავს ნატურალური მინერალური და წყაროს წყლების ეტიკეტირების წესებს.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ევროკავშირის №2009/54 დირექტივა არ განიხილავს წყლის სასაქონლო პროდუქციის ისეთ კატეგორიებს, როგორცაა სუფრის წყალი (ევროკავშირის კანონმდებლობით სუფრის წყალი შედის წყაროს წყლის კატეგორიაში) და სამკურნალო მინერალური წყალი, რომელიც ევროკავშირის კანონმდებლობის მიხედვით არა სასურსათო პროდუქტი, არამედ სამკურნალო საშუალებაა.

ამ დირექტივის თანახმად, ნატურალური მინერალური და წყაროს წყლების ეტიკეტზე აღნიშნული უნდა იყოს შემდეგი სავალდებულო ინფორმაცია:

- ნატურალური მინერალური და წყაროს წყლის შემადგენლობა, ამ წყლისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური კომპონენტების მითითებით;
- ადგილი, სადაც ხდება ნატურალური მინერალური და წყაროს წყლების მოპოვება და წარმოება, ასევე წყაროს დასახელება;
- ინფორმაცია ნატურალური მინერალური და წყაროს წყლის დამუშავების შესახებ.

ეტიკეტზე შეიძლება დატანილი იქნას რაიონის, სოფლის ან ადგილის დასახელება იმ პირობით, რომ ის შეეხება იმ ნატურალურ მინერალურ და წყაროს წყალს, რომლის მოპოვება და წარმოება ხდება დასახელებაში მითითებულ ადგილას და იმ პირობით, რომ ის არაა შეცდომაში შემყვანი წყაროს ექსპლუატაციის ადგილის თვალსაზრისით.

იმ შემთხვევაში, როდესაც ნატურალური მინერალური და წყაროს წყლის კომერციული აღწერა განსხვავდება ამ წყლების მოპოვების და წარმოების ადგილისა და წყაროს დასახელებისაგან, ეტიკეტზე მოპოვების და წარმოების ადგილი ან წყაროს დასახელება აღნიშნული უნდა იყოს ისეთი ასობით, რომლებიც სიმალესა და სიგანეში, აღწერაში გამოყენებულ ყველაზე დიდ შრიფტზე ერთნაზვეარჯერ დიდია.

ნატურალური მინერალური წყალი შეიძლება იყოს გაზირებული და არაგაზირებული. გაზირებული მინერალური წყალი მასში ნახშირორჟანგის წარმოშობისა და შემცველობის მიხედვით იყოფა შემდეგ ჯგუფებად:

- ბუნებრივად გაზირებული ნატურალური მინერალური წყალი;
- საბადოს გზით გაზირებული ნატურალური მინერალური წყალი;
- ხელოვნურად გაზირებული ნატურალური მინერალური წყალი.

ეტიკეტზე განთავსებული პროდუქტის დასახელება სავალდებულოა აღინიშნოს ამ ჯგუფების შესაბამისად.

ევროპარლამენტის და ევროკავშირის საბჭოს 2009 წლის 18 ივნისის №2009/54/EC დირექტივის თანახმად, მარკეტინგის ეტაპზე ნატურალურმა მინერალურმა წყლებმა უნდა შეინარჩუნონ ის მახასიათებლები, რომელთა შემცობითაც ისინი ცნეს როგორც ასეთები. აკრძალულია:

- ერთი და იმავე საბადოდან აღებული ნატურალური მინერალური და წყაროს წყლის გაყიდვა ერთზე მეტი კომერციული აღწერით;
- ეტიკეტზე, ასევე ნებისმიერი ფორმის რეკლამაში, ისეთი აღნიშვნების, დასახელებების, სავაჭრო ნიშნების, ბრენდის დასახელებების, სურათებისა თუ სხვა ნიშნების გამოყენება, რომლებიც მიუთითებს ისეთ მახასიათებლებზე, რომლებიც ნატურალურ მინერალურ წყალს არ გააჩნია;
- ეტიკეტზე ყველა ისეთი აღნიშვნის დატანა, რომელიც ადამიანის ორგანიზმზე ნატურალური მინერალური წყლის პროფილაქტიკურ, სამკურნალო თუ გამაჯანსაღებელ ზემოქმედებას უკავშირდება (ევროკავშირის ცალკეულ წევრ ქვეყნებს შეუძლიათ დაუშვან ეტიკეტზე ისეთი აღნიშვნების დატანა, რომლებიც მოცემულია ზემოხსენებული დირექტივის მე-3 დანართში, თუ კვლევები ჩატარებულია ევროკავშირის შესაბამისი სტრუქტურების მიერ აღიარებული სამეცნიერო მეთოდების გამოყენებით).

ნატურალურ მინერალურ და წყაროს წყალს, რომელშიც ფტორის კონცენტრაცია აღემატება 1,5 მგ/ლ, ეტიკეტზე უნდა ახლდეს წარწერა „შიცავს 1,5 მგ/ლ-ზე მეტ ფტორს, არ გამოდგება ჩვილი ბავშვებისათვის და 7 წელზე ნაკლები ასაკის ბავშვებისათვის სისტემატიურად მისაღებად“. ეს ინფორმაცია განთავსებული უნდა იქნას სავაჭრო ნიშნის გვერდით და კარგად გასარჩევი შრიფტით.

ევროკომისის 2003 წლის 16 მაისის №2003/40/EC დირექტივის მიხედვით, ოზონით დამუშავებული ნატურალური მინერალური და წყაროს წყლის ეტიკეტზე, წყლის ბუნებრივი კომპონენტების შემცველობის შესახებ ჩამონათვალის ახლოს უნდა იყოს წარწერა „წყალი დამუშავდა დაშვებული ოზონირებული აირით, ჟანგვითი მეთოდით“.

„ნატურალური მინერალური და წყაროს წყლებიდან ფტორის მოსაცილებლად აქტივირებული ალუმინის ჟანგის გამოყენების შესახებ“ ევროკომისის 2010 წლის 9 თებერვლის №115/2010 რეგულაციის თანახმად, წყლის ეტიკეტზე, რომელმაც გაიარა ფტორის მოცილების მიზნით დამუშავება, ბუნებრივი კომპონენტების შე-

მცველობის შესახებ ჩამონათვალის ახლოს უნდა იყოს ნარწერა „წყალი დაექვემდებარა დამუშავებას ადსორბციის ნებადართული მეთოდებით“.

4.4. მიკრობიოლოგიური და ფიზიკო-ქიმიური მაჩვენებლების ნორმატივები

4.4.1. ზოგადი ნაწილი

ევროკომისიის 2005 წლის 15 ნოემბრის №2073/2005 რეგულაცია ადგენს სპეციფიკურ მიკრობიოლოგიურ მაჩვენებლებსა და მათ ლიმიტებს სხვადასხვა სახეობის სურსათისათვის, მათ შორის უალკოჰოლო სასმელებისთვის. „ნატურალური მინერალური წყლების ექსპლუატაციისა და მარკეტინგის შესახებ“ ევროპარლამენტის და ევროკავშირის საბჭოს 2009 წლის 18 ივნისის №2009/54/EC დირექტივაში მოცემულია ნატურალური მინერალური და წყაროს წყლების მიკრობიოლოგიური მაჩვენებლები და მათი ნორმატივები.

აღსანიშნავია რომ ალკოჰოლიან სასმელებში მიკრობიოლოგიური მაჩვენებლები არ ნორმირდება.

მიკრობიოლოგიური კრიტერიუმების დარღვევის შემთხვევაში, ევროკავშირის ბაზარზე იმპორტისთვის განკუთვნილი უალკოჰოლო სასმელები და წყლის სასაქონლო პროდუქცია ევროკავშირის ბაზარზე არ დაიშვება და ევროკავშირის წევრი შესაბამისი სახელმწიფო ამის შესახებ ევროკომისიას აცნობებს.

თუ იმპორტი უკვე განხორციელდა და ჯანმრთელობისთვის საზიანო უალკოჰოლო სასმელებმა და წყლის სასაქონლო პროდუქციამ მომხმარებელამდე მიადღწია, იგი ბაზრიდან დაუყოვნებლივ უნდა იქნას ამოღებული. ასეთ შემთხვევაში მომხმარებლის სათანადო ინფორმირების ვალდებულება იმპორტიორს ეკისრება.

ევროკავშირის ბაზარზე განთავსებული ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელები და წყლის სასაქონლო პროდუქცია ასევე უნდა აკმაყოფილებდეს სურსათის დამაბინძურებელი (კონტამინანტები) ნივთიერებების შესახებ ევროკავშირის კანონმდებლობის მოთხოვნებს.

ევროკომისიის 2006 წლის 19 დეკემბრის №1881/2006 რეგულაცია ადგენს გარკვეული ქიმიური დამაბინძურებელი ნივთიერებების შემცველობის ზღვრულ დონეს სურსათისათვის, მათ შორის ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელებისათვის.

ევროკომისის 2003 წლის 16 მაისის №2003/40/EC დირექტივაში მოცემულია ნატურალური მინერალური და წყაროს წყლების დამაბინძურებელი ნივთიერებების შემცველობის ზღვრულად დაშვებული კონცენტრაციები.

ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს 2005 წლის 23 თებერვლის №396/2005 რეგულაცია აწესებს პესტიციდების ნარჩენის ზღვრულ დონეს (MRLs – Maximum Residue Levels) დაახლოებით 600 სუბსტანციისთვის, რაც დაწვრილებით არის მოცემული ევროკავშირის პესტიციდების მონაცემთა ბაზაში¹⁹.

ევროკავშირის საბჭოს 1978 წლის 21 დეკემბრის №79/117 დირექტივაში მოცემულია სურსათის წარმოებაში გამოყენებისთვის აკრძალული პესტიციდები.

სურსათის უვნებლობის შესახებ ევროკავშირის კანონმდებლობა ასევე არეგულირებს სურსათში საკვებდამამატების დასაშვებ რაოდენობას.

ევროკავშირის საბჭოს 1988 წლის 21 დეკემბრის №89/107 დირექტივის მიხედვით, საკვებდამამატების უმეტესობის გამოყენება მხოლოდ შეზღუდული რაოდენობითაა დაშვებული.

19 http://ec.europa.eu/sanco_pesticides/public/index.cfm.

ზოგიერთი საკვებდანამატისთვის არ არის დანესებული მაქსიმალური ზღვარი, თუმცა მათი გამოყენება უნდა მოხდეს სათანადო საწარმოო პრაქტიკის შესაბამისად, ისეთი რაოდენობით, რომელიც აუცილებელია კონკრეტული მიზნის მისაღწევად და რაც არ იწვევს მომხმარებლის შეცდომაში შეყვანას.

ზემოაღნიშნული მოთხოვნების დაცვა მკაცრად კონტროლდება ევროკავშირის ბაზარზე ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების და წყლის სასაქონლო პროდუქციის შეტანის დროს. ევროკავშირის საზღვრის გადაკვეთის ადგილზე ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელებს და წყლის სასაქონლო პროდუქციას უტარდება შერჩევითი ლაბორატორიული კონტროლი. დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, ევროკავშირის შესაბამისი უწყებები იმპორტს შეაჩერებენ.

4.4.2. ალკოჰოლიანი სასმელების ფიზიკო-ქიმიური მაჩვენებლების ნორმატივები

[ევროკომისიის 2006 წლის 19 დეკემბრის №1881/2006 რეგულაციის](#) მიხედვით ალკოჰოლიანი სასმელებში ქიმიური მაჩვენებლებიდან ნორმირდება: ოხრატოქსინი A, პატულინი და ტყვია. შესაბამისი ნორმატივები მოცემულია ცხრილში №7.

ცხრილი №7

ალკოჰოლიანი სასმელების ქიმიური მაჩვენებლები

პროდუქტების ჯგუფი	ქიმიური მაჩვენებლები	ზღვრული დონები არაუმეტეს მკგ/კგ
ღვინო (მ.შ. ცქრიალა ღვინო; ხილის ღვინო, გარდა ლიქიორისა) ალკოჰოლის შემცველობა არაუმეტეს 15%. არომატიზირებული ღვინო; კოქტეილი.	ოხრატოქსინი A	2,0
სპირტიანი სასმელები; სიდრი და სხვა ფერმენტირებული სასმელები მიღებული ვაშლის წვენისგან.	პატულინი	50
ღვინო (მ.შ. ცქრიალა ღვინო; სიდრი; მსხლის და სხვა ხილის ღვინო. გარდა ლიქიორისა); არომატიზირებული ღვინო; კოქტეილი.	ტყვია	200

4.4.3. უალკოჰოლო სასმელებისა და წყლის სასაქონლო პროდუქციის მიკრობიოლოგიური და ფიზიკო-ქიმიური მაჩვენებლების ნორმატივები

[ევროკომისიის 2005 წლის 15 ნოემბრის №2073/2005 რეგულაცია](#) ადგენს სპეციფიკურ მიკრობიოლოგიურ მაჩვენებლებსა და მათ ლიმიტებს უალკოჰოლო სასმელებისთვის.

ზემოხსენებული რეგულაციის მიხედვით, არაპასტერიზებული ხილისა და ბოსტნეულის წვენებში ნორმირდება სალმონელა. შემონმებისთვის უნდა მოხდეს ნიმუშის 5 ერთეულად აღება. სალმონელას თუნდაც ერთ ერთეულში (25 გრამში) აღმოჩენის შემთხვევაში პროდუქტი არ უნდა იქნას დაშვებული ბაზარზე.

ლისტერიის (*Listeria monocytogenes*) ლაბორატორიული კვლევა წარმოებს მზა უალკოჰოლო სასმელებში. შემონმებისთვის უნდა მოხდეს ნიმუშის 5 ერთეულად აღე-

ბა. თითოეულ ერთეულში დასაშვებია არაუმეტეს 100 კნე/გ. (მიკროორგანიზმების კოლონიის წარმომქმნელი ერთეული/გრამზე)²⁰.

არაპასტერიზებული ხილისა და ბოსტნეულის წვენებში ნორმირდება ნაწლავის ჩხირის (E.coli) დასაშვები რაოდენობა. გამოსაკვლევად აღებული უნდა იყოს ნიმუში 5 ერთეულად. ლაბორატორიული ანალიზის შედეგები შემდეგნაირად განისაზღვრება:

- დამაკმაყოფილებელია თუ ხუთივე გამოკვლეულ ერთეულში შედეგები არ აღემატება 100 კნე/გ;
- დასაშვებია თუ 5-დან არაუმეტეს 2 ერთეულში მიღებული შედეგი 100-1000 კნე/გ ფარგლებშია, ხოლო დანარჩენ 3 ერთეულში არ აღემატება 100 კნე/გ;
- არადამაკმაყოფილებელია თუ 5-დან თუნდაც ერთ ერთეულში აჭარბებს 1000 კნე/გ, ან 3 და მეტ ერთეულში 100-1000 კნე/გ შორისაა.

ნაწლავის ჩხირის (E.coli) ლაბორატორიული კვლევა ხორციელდება სანარმოო პროცესის დროს, მწარმოებლის მიერ.

ევროკომისიის 2006 წლის 19 დეკემბრის №1881/2006 რეგულაციის მიხედვით, უალკოჰოლო სასმელებში ქიმიური მაჩვენებლებიდან ნორმირდება: ოხრატოქსინი A, პატულინი, ტყვია და არაორგანული კალა. ნორმატივები მოცემულია ცხრილში №8.

ცხრილი №8

უალკოჰოლო სასმელების ქიმიური მაჩვენებლები

პროდუქტების ჯგუფი	ქიმიური მაჩვენებლები	ზღვრული დონეები არაუმეტეს მკგ/კგ
ყურძნის წვენი (მ.შ. კონცენტრირებული); ყურძნის ნექტარი; ყურძნის ტკბილი (საბოლოო მოხმარებისთვის).	ოხრატოქსინი A	2,0
ხილის წვენები (მ.შ. კონცენტრირებული); ხილის ნექტარი	პატულინი	50
ვაშლის კომპოტი (საბოლოო მოხმარებისთვის)	პატულინი	25
ვაშლის წვენი და კომპოტი, განსაზღვრული ბავშვთა (მ.შ. ჩვილ ბავშვთა) კვებისთვის	პატულინი	10
ხილის წვენები (მ.შ. კონცენტრირებული); ხილის ნექტარი	ტყვია	50
დაკონსერვებული ხილისა და ბოსტნეულის სასმელები	არაორგანული კალა	100000

„ნატურალური მინერალური წყლების ექსპლუატაციისა და მარკეტინგის შესახებ“ ევროპარლამენტის და ევროკავშირის საბჭოს 2009 წლის 18 ივნისის №2009/54/EC დირექტივაში მოცემულია ნატურალური მინერალური და წყაროს წყლების მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების დასაშვები ზღვრები (იხ. ცხრილი №9).

20 http://ec.europa.eu/food/food/controls/food_feed/sampling_testing.pdf

ნატურალური მინერალური და წყაროს წყლის მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების დასაშვები ზღვრები

მაჩვენებლის დასახელება	მაჩვენებლების დასაშვები ზღვრები
მეზოფილურ აერობული და ფაკულტატიურ ანაერობული მიკროორგანიზმები 1 მლ.-ში	37°C ≤ 20 22°C ≤ 100
ტოტალური კოლიფორმები 250 მლ.-ში	არ დაიშვება
E. coli 250 მლ.-ში	არ დაიშვება
ფეკალური სტრეპტოკოკები (S.faecalis) 250 მლ.-ში	არ დაიშვება
Pseudomonas aeruginosa 250 მლ.-ში	არ დაიშვება
სულფიტმარედუცირებელი კლოსტრიდიები (Cl. perfringens) 50 მლ.-ში	არ დაიშვება
პათოგენური მიკროორგანიზმები, მათ შორის სალმონელა 100 მლ.-ში	არ დაიშვება

ევროკომისიის 2003 წლის 16 მაისის №2003/40/EC დირექტივა განსაზღვრავს ნატურალური მინერალური წყლების ქიმიური კომპონენტების სიასა და მათ ზღვრულ კონცენტრაციებს (იხ. ცხრილი №10) და ნატურალური მინერალური და წყაროს წყლების დამუშავებისათვის ოზონირებული აირის გამოყენების პირობებს. ოზონირებული აირის გამოყენებით ნატურალური მინერალური და წყაროს წყლების დამუშავების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების ზღვრული მნიშვნელობები მოცემულია ცხრილში №11.

ცხრილი №10

ნატურალური მინერალური წყლის ქიმიური კომპონენტების ზღვრული კონცენტრაციები

კომპონენტი	მაქსიმალური ზღვარი მგ/ლ
სტიბიუმი	0,005
დარიზხანი	0,01
ბარიუმი	1,0
ბორი	რეგისტრირებისათვის ²¹
კადმიუმი	0,003
ქრომი	0,05
სპილენძი	1,0
ციანიდი	0,07
ფთორიდიები	5,0
ტყვია	0,01
მანგანუმი	0,5
ვერცხლისწყალი	0,001
ნიკელი	0,2
ნიტრატები	50
ნიტრიტები	0,1
სელენი	0,01

21 ბორის მაქსიმალური ზღვარი ევროკავშირის კანონმდებლობით ჯერ არ არის დადგენილი

ნატურალური მინერალური და წყაროს წყლების ოზონირებული აირის გამოყენებით დამუშავების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების ზღვრული მნიშვნელობები

დამუშავების ნალექი	ზღვრული მნიშვნელობა მკგ/ლ
გახსნილი ოზონი	50
ბრომატები	3
ბრომნარმოებულები	1

„ნატურალური მინერალური და წყაროს წყლებიდან ფტორის მოსაცილებლად აქტივირებული ალუმინის ჟანგის გამოყენების შესახებ“ ევროკომისიის 2010 წლის 9 თებერვლის №115/2010 რეგულაციის თანახმად, მზა პროდუქტში ალუმინის იონების შემცველობა არ უნდა აღემატებოდეს 200 მკგ/ლ.

4.5. მარკეტინგული სტანდარტები

4.5.1. ზოგადი ნაწილი

მესამე ქვეყნებიდან ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელებისა და წყლის სასაქონლო პროდუქციის ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტის წესების უმრავლესობა ჰარმონიზებულია ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის.

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების **საინსპექციო ორგანოები**²² უზრუნველყოფენ იმპორტისთვის განკუთვნილი ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელებისა და წყლის სასაქონლო პროდუქციის მარკეტინგულ სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებას.

4.5.2. ალკოჰოლიანი სასმელების მარკეტინგული სტანდარტები

ევროკავშირის საბჭოს 2008 წლის 29 აპრილის №479/2008 რეგულაცია განსაზღვრავს ღვინის ბაზრის საერთო ორგანიზაციის წესებს ევროკავშირის ტერიტორიაზე. სსენებული რეგულაცია არეგულირებს ისეთ სფეროებს, როგორცაა:

- ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის დაცვა;
- ეტიკეტირება და წარდგენა;
- მესამე ქვეყნებთან ღვინით ვაჭრობის რეგულირების წესები;
- იმპორტისა და ექსპორტის ლიცენზიები და სხვა.

ევროკავშირის საბჭოს 2008 წლის 29 აპრილის №479/2008 რეგულაციის დანართში № 1 მოცემულია ტერმინთა განმარტებები, ხოლო დანართში № 4 - ალკოჰოლიანი სასმელების კატეგორიები და მათ მიმართ წაყენებული მოთხოვნები ისეთი პარამეტრების მიმართ, როგორცაა:

- პროდუქტის დასამზადებლად გამოყენებული ნედლეული;

22 საინსპექციო ორგანო(ები) - ევროკავშირის წევრი თითოეული ქვეყნის მიერ განსაზღვრული საინსპექციო ორგანო(ები), რომელიც პასუხიმგებელია სურსათის მარკეტინგულ სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებაზე, პროდუქციის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებამდე.

- ალკოჰოლის შემცველობა;
- წარმოების მეთოდი;
- ტიტრული მუჟავიანობა (ღვინის მუჟავაზე გადათვლით);
- ნახშირორჟანგის შემცველობა;
- საერთო შაქარი;
- ფარდობითი სიმკვრივე;
- საქაროზა;
- გოგირდის დიოქსიდი;
- ელექტროგამტარობა;
- ოქსიმეთილფურფუროლი;
- წყალბადის მაჩვენებელი PH.

ამ წესების დარღვევით წარმოებული ალკოჰოლიანი სასმელები ევროკავშირის ტერიტორიაზე არ დაიშვება.

ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს 2008 წლის 15 იანვრის №110/2008 რეგულაციაში მოცემულია მოთხოვნები ალკოჰოლიანი სასმელების დასახელების, აღწერის, წარდგენის და გეოგრაფიულ აღნიშვნის მიმართ.

აღნიშნული რეგულაციის მოთხოვნები ეხება ევროკავშირის ტერიტორიაზე წარმოებულ, ევროკავშირიდან ექსპორტირებულ და ევროკავშირის ბაზარზე მესამე ქვეყნებიდან იმპორტირებულ ალკოჰოლიან სასმელებს.

ამ რეგულაციის თანახმად, ეთილის სპირტი, რომელიც გამოიყენება ალკოჰოლიანი სასმელების დასამზადებლად, უნდა იყოს მხოლოდ მცენარეული ნედლეულიდან მიღებული.

ევროკავშირის საბჭოს 2006 წლის 20 მარტის №510/2006 რეგულაცია განსაზღვრავს ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიულ აღნიშვნასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს.

ევროკავშირის 2008 წლის 27 ივნისის №555/2008 რეგულაცია განსაზღვრავს ევროკავშირის ტერიტორიაზე და მესამე ქვეყნებთან ღვინით ვაჭრობის წესებს.

რეგულაციაში მოცემულია დოკუმენტი VI 1-ის ფორმა (საქართველოს კანონმდებლობაში მოხსენიებულია როგორც შესაბამისობის სერტიფიკატი ფორმა VI 1), რომელიც თან უნდა ახლდეს ღვინის, ყურძნის წვენის და ახალგაზრდა ღვინის ყველა პარტიას და რომლებსაც გასცემს მესამე ქვეყნის კომპეტენტური ორგანოები. დოკუმენტი VI 1-ის ფორმა მოცემულია დანართში №1. როგორც 2.3. ქვეთავში იყო აღნიშნული, VI 1 ფორმის დოკუმენტს საქართველოში ღვინის ეროვნული სააგენტო გასცემს, მისი მე-11 გრაფის შევსებისა და დამონების უფლება კი შემდეგ აკრედიტებულ ლაბორატორიებს გააჩნიათ: შპს “ღვინის ლაბორატორია”, შპს “მულტიტესტი”, შპს “ნორმა”, შპს “ეტალონი”, შპს “ექსპერტიზა+” და შპს “მიკრობიოლოგი”.

4.5.3. უალკოჰოლო სასმელებისა და წყლის სასაქონლო პროდუქციის მარკეტინგული სტანდარტები

უალკოჰოლო სასმელების ევროკავშირის ტერიტორიაზე მიმოქცევას არეგულირებს ევროკავშირის საბჭოს 2001 წლის 20 დეკემბრის №2001/112/EC დირექტივა.

აღნიშნულ დირექტივაში მოცემულია ხილის წვენებისა და მისი მსგავსი პროდუქტების (რომლებიც გამოიზნულია ადამიანის უშუალო მოხმარებისთვის) ტერმინოლოგიის განმარტება, მათი სახეობები, რეგულირების მექანიზმები, ასევე ეტიკეტირებისა

და მარკეტინგის პირობები.

ევროკავშირის წევრი ქვეყნები უფლებამოსილი არიან აკრძალონ ან დაუშვან ამ სახის პროდუქტებში ვიტამინებისა და მინერალური ნივთიერებების დამატება.

უალკოჰოლო სასმელების წარმოების დროს დაშვებულია ლიმონმჟავის დამატება არაუმეტეს 3 გ/ლ.

ყურძნის წვენში SO₂-ის შემცველობა არ უნდა აღემატებოდეს 10 მგ/ლ.

[ევროპარლამენტის და ევროკავშირის საბჭოს 2009 წლის 18 ივნისის №2009/54/EC დირექტივა](#) განსაზღვრავს ნატურალური მინერალური და წყაროს წყლების ექსპლუატაციისა და მარკეტინგის წესებს. ამ დირექტივით განსაზღვრულია:

- ნატურალური მინერალური და წყაროს წყლების შემადგენელი კომპონენტების კონცენტრაციების ზღვრები;
- ეტიკეტზე გარკვეული შემადგენელი კომპონენტების მაღალი კონცენტრაციების აღნიშვნის შესახებ ინფორმაციის განთავსების აუცილებლობა;
- ნატურალური მინერალური და წყაროს წყლის დამუშავების პირობები;
- წყლის სინჯების აღების პროცედურები;
- ნატურალური მინერალური და წყაროს წყლების მიკრობიოლოგიური მახასიათებლების დასადგენად საჭირო ანალიზის მეთოდები.

[ევროპარლამენტის და ევროკავშირის საბჭოს 2009 წლის 18 ივნისის №2009/54/EC დირექტივა](#) ეხება იმ წყლებს, რომლებიც წარმოებულია ევროკავშირის წევრი ქვეყნებისა და მესამე ქვეყნის ტერიტორიაზე და აღიარებულია ევროკავშირის წევრი ქვეყნის პასუხისმგებელი ორგანოს მიერ, როგორც მინერალური წყალი (დირექტივა არ ეხება სამკურნალო მინერალურ წყლებს).

აღიარებული წყლების ნუსხა ქვეყნდება ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში. დღევანდელ ეტაპზე, საქართველოდან აღიარებული წყლების ნუსხაში შედის ბორჯომი და ნაბეღლავი.

ნატურალური მინერალური და წყაროს წყლის მოპოვება და წარმოება შეიძლება მოხდეს და მათგან მიღებული წყლები შეიძლება ჩამოისხას მხოლოდ ამ დირექტივის მე-2 დანართის შესაბამისად. [ევროკომისის 2003 წლის 16 მაისის №2003/40/EC დირექტივის](#) მიხედვით, ნატურალური მინერალური და წყაროს წყალი არ შეიძლება შეიცავდეს რაიმე ორგანოლემბტიკურ დეფექტებს.

წყაროს წყლები ასევე უნდა აკმაყოფილებდეს [ევროკავშირის საბჭოს 1998 წლის 3 ნოემბრის №98/83/EC დირექტივას](#), ადამიანის მოხმარებისთვის გათვალისწინებული წყლის ხარისხის შესახებ.

თუ ევროკავშირის წევრ ქვეყანას გააჩნია სათანადო საფუძველი, რომ ნატურალური მინერალური და წყაროს წყალი არ აკმაყოფილებს ამ დირექტივებში მოცემულ დებულებებს, ან საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას, წევრმა ქვეყანამ უნდა შეაჩეროს ან შეზღუდოს ამ პროდუქტის თავისუფალი მიმოქცევა. მან ამის თაობაზე დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ევროკომისიას და ევროკავშირის სხვა წევრ ქვეყნებს და დაასაბუთოს ეს გადაწყვეტილება.

4.6. ფიტოსანიტარიული მოთხოვნები ხის ტარასა და შესაფუთ მასალაზე საერთაშორისო ვაჭრობის განხორციელებისას

ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელები და წყლის სასაქონლო პროდუქცია არ ექვემდებარება ფიტოსანიტარიულ კონტროლს. თუმცა, გასათვალისწინებელია რომ ფიტოსანიტარიულ კონტროლს ექვემდებარება ამ სახის სასურსათო პროდუქციის ტრანსპორტირებისას გამოყენებული ხის ტარა და შესაფუთი მასალა. ხის ტარისა და შესაფუთი მასალების ფიტოსანიტარიული კონტროლი რეგულირდება ფიტოსანიტარიული ზომების №15 საერთაშორისო სტანდარტით (ISPM №15) განსაზღვრული ფიტოსანიტარიული ზომებით.

აღნიშნული სტანდარტი აღწერს საერთაშორისოდ მიღებულ პრაქტიკას, რომელიც ყველა ქვეყნის მიერ გამოიყენება ხის ტარისა და შესაფუთი მასალის მიმართ, ამ მასალებით საკარანტინო და სხვა საშიში მავნე ორგანიზმების ბაზარზე შეღწევისა და გავრცელების რისკის შემცირების მიზნით.

დანერგვითი ინფორმაცია ISPM №15 სტანდარტის მოთხოვნების შესახებ მოცემულია ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭოს (EUGBC) მიერ 2012 გამოცემული პუბლიკაციის: [„რა უნდა ვიცოდეთ საქართველოდან ევროკავშირის ბაზარზე არატყვევლური წარმოშობის სურსათის ექსპორტისათვის“](#) ქვეთავში 3.5.

5. საერთაშორისო სტანდარტები

5.1. ISO 22000 და GLOBAL G.A.P.

სურსათის უვნებლობის რეგულირების მნიშვნელოვანი დოკუმენტია [საერთაშორისო სტანდარტი ISO 22 000 „სურსათის უვნებლობის მართვა. მოთხოვნები სასურსათო ჯაჭვში მონაწილე კომპანიებისათვის“](#) (Food safety management systems requirements for any organization in the food chain).

აღნიშნული სტანდარტი აერთიანებს სურსათის უვნებლობის HACCP -ის სისტემის ძირითად კონცეფციებსა და ხარისხის მართვის პრინციპებს. მასში მოცემულია ასევე წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოების (GMP - Good Manufacturer Practices) პროგრამა, რესურსების მართვის მექანიზმი. სწორედ ეს ინტეგრაცია წარმოადგენს ამ სტანდარტის უპირატესობას და საშუალებას იძლევა იგი გამოყენებული იქნას როგორც ორგანიზაციის მართვის ეფექტური სახელმძღვანელო.

პირველადი წარმოებებისთვის გამოიყენება [საერთაშორისო სტანდარტი GLOBAL G.A.P.](#), რომელშიც მოცემულია მოთხოვნები შესაბამისი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის GAP²³ დანერგვისადმი.

ამ სტანდარტის მიზანია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისგან გამონეული რისკების შემცირება, წარმოების მთლიანი ციკლის მიკვლევადობის გზით.

სტანდარტში გათვალისწინებულია HACCP-ის პრინციპები, მოიცავს სხვადასხვა სფეროებს და ეფექტურად მუშაობს 80 ქვეყანაში. მსოფლიოში ამ სტანდარტით სერტიფიცირებული სანარმოების რიცხვი აჭარბებს 80000.

ბიზნესოპერატორებისთვის, რომლებიც მომავალში ფიქრობენ თავიანთი სასურსათო პროდუქტების ევროკავშირის ბაზარზე შეტანას უმნიშვნელოვანესია ამ სტანდარტების დანერგვა.

23 GAP - Good Agricultural Practice; კარგი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკა.

5.2. კოდექს ალიმენტარიუსის სტანდარტები

[Codex Alimentarius](#)²⁴-ის კომისიის სხვადასხვა კომიტეტები შემუშავებენ სურსათის სტანდარტების პროგრამას, რომლის მიზანია სურსათით ვაჭრობის სამართლიანი პრაქტიკის დამკვიდრება და მომხმარებელთა უფლებების დაცვა. ის მოიცავს ასევე საკონსულტაციო, სარეკომენდაციო ხასიათის პრაქტიკულ პრინციპებს და ტერმინოლოგიის ჰარმონიზაციას.

კომისიის მიერ შემუშავებული სტანდარტები და რეკომენდაციები ძირითად სახელმძღვანელო დოკუმენტებად განისაზღვრა საერთაშორისო ვაჭრობაში.

დღეისათვის კომისიის მიერ სურსათის უვნებლობის რეგულირებისათვის შემუშავებულია რამდენიმე ასეული სტანდარტი. ამ სტანდარტებით განსაზღვრულია ის ზოგადი წესები და მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს სურსათის ბიზნესოპერატორი.

[სტანდარტში CAC/RCP 1-1969](#) მოცემულია ჰიგიენის ზოგადი პრინციპები ყველა სახის სურსათის (მ.შ. ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელებისა და წყლის სასაქონლო პროდუქციის) წარმოებისთვის. სტანდარტში შედის, როგორც წარმოების მიმართ წაყენებული ზოგადი ხასიათის, აგრეთვე საფრთხეების კონტროლის შიდა სისტემასთან (HACCP) დაკავშირებული მოთხოვნები.

[სტანდარტი CODEX STAN 192-1995](#) განსაზღვრულია სურსათში ნებადართული საკვედანამატები, მათი გამოყენების პირობები, ზღვრულად დაშვებული კონცენტრაციები, რისკების გაკონტროლების პროცედურები და სხვა.

[სტანდარტში CAC/RCP 33/1985](#) მოცემულია ბუნებრივი მინერალური წყლების მოპოვების, დამუშავებისა და მარკეტინგის მიმართ წაყენებული მოთხოვნები.

[სტანდარტში CODEX STAN 108-1981](#) მოცემულია:

- ნატურალური მინერალური წყლების დახასიათება;
- შემადგენლობა;
- წყლის ხარისხის მაჩვენებლები;
- დაფასოებისა და ეტიკეტირების მიმართ განსაზღვრული მოთხოვნები;
- წყლის სინჯების აღებისა და ლაბორატორიული ანალიზების პროცედურები.

[სტანდარტი CAC/RCP 50/2003](#) არეგულირებს ვაშლის წვენსა და ვაშლის ინგრედიენტებით დამზადებული სხვა ხილის წვენებში პატულინით დაბინძურებისა და მისი შემცირების პირობებს.

[სტანდარტში CAC/RCP 63/2007](#) მოცემულია ღვინოში ოხრატოქსინის აღმოჩენისა და შემცირების პრაქტიკული რეკომენდაციები.

24 Codex Alimentarius Commission (CAC. www.codexalimentarius.net) შეიქმნა 1962 წელს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციისა (FAO) და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) მიერ.

SUMMARY

How to Export Alcoholic and Non-Alcoholic Beverages and Water Products from Georgia to the EU Market

1. Introduction

At the present state of Georgia’s development it is extremely important that the local entrepreneurs have information on the specific issues regarding trade with the EU – one of the largest and strategic markets for Georgia. The present publication therefore describes the requirements of export of alcoholic and non-alcoholic beverages and water products from Georgia to the EU market.

The requirements set in the EU regulations apply to alcoholic and non-alcoholic beverages and water products produced in the EU as well as imported to the EU market. Therefore, these requirements are important for the exporters of third countries.

The present publication aims to introduce the existing EU and Georgian norms, as well as international standards on the production, processing, distribution and export of alcoholic and non-alcoholic beverages to the EU market to Georgian entrepreneurs.

2. Legal regulation of Georgia

2.1. Introduction

To export alcoholic and non-alcoholic beverages and water products to the EU market it is important to know Georgian legislation regulating production, processing, distribution and export of these products.

This sub-chapter briefly discusses the Georgian Law “Code for Food/Animal Feed Safety, Veterinary and Non-animal Protection” that is the main legal act in the field of food safety in Georgia. The mentioned law lays down the regulations for the control of food/animal feed, veterinary and phytosanitary safety that is related to the movement of products across border (import, re-export, export and transit).

2.2. Designation of origin and geographical indications

This sub-chapter discusses the designation of origin and geographical indications of food products, here alcoholic and non-alcoholic beverages and water products.

These issues are regulated by the Georgian Law on “Designation of Origin and Geographical Indications” and by the Decree No.88 of the President of Georgia of February 28, 2002 on “The Implementation of the Georgian Law on Designation of Origin and Geographical Indications”. The sub-chapter, therefore, discusses these legal documents accordingly and explains that the registration of the designation of origin and geographical indications are conducted by the Legal Entity of Public Law – National Intellectual Property Centre of Georgia “Sakpatenti”.

2.3. Legal regulation of the production, distribution and export of alcoholic beverages

This sub-chapter mainly offers discussion of the Georgian Law on “Vine and Wine”, which regulates the development of the country’s priority sphere – viticulture and wine-making, sale of competitive grapes, wine and other alcoholic beverages produced of grape types, and customer market protection from low-quality products.

It is explained that the general requirements for certification of alcoholic beverages are defined by the Georgian Law on “Vine and Wine”. The sub-chapter gives the information about procedures of issuance of the Certificates of Origin and Certificate of Compliance in Georgia. These certificates are issued by LEPL National Wine Agency.

For importing in the EU, wine, grape must and grape juice must be accompanied by the Certificate form VI 1, signed by a competent body of the country of origin (in Georgia by National Wine Agency) and an analysis report that shall be done by an accredited laboratory of the third country. The list of the laboratories currently authorised to conduct the analysis report in Georgia is also provided in the text.

The forms of the certificates are presented in the publication annexes.

The sub-chapter also refers to specific rules of labelling alcoholic products that are stated in the Georgian Law on “Vine and Wine” and that specify the information that should be placed on the label of alcoholic Beverages.

2.4. Legal regulation of the production, distribution and export of water products

This sub-chapter reviews the Georgian Law “on Water”, according to which the rules of origin and trade of water products apply to all water products produced in Georgia and beyond its borders that are sold on the territory of Georgia or designated for export.

The issues discussed here are: the rules of assigning category and registering appellation of origin of water products; terms and costs of rendering such services.

2.5. Hygiene norms for safety and quality of alcoholic and non-alcoholic beverages and water products

The sub-chapter offers a detailed discussion of the normative acts defining the safety and quality indicators and their maximum levels of concentration allowed in alcoholic and non-alcoholic beverages and water products.

Based on the normative acts, concentration norms in several different types of beverages are distinguished, namely in all types of alcoholic beverages; wine, vodka and cognac; beer; non-alcoholic beverages; water products.

In addition, the sub-chapter discusses the requirements and relevant legal acts for the production of grape wine.

3. International Agreements

In the field of the production of alcoholic beverages, it is extremely important to cooperate with O.I.V. International Organization of Vine and Wine, which represents inter-governmental scientific and technical organization.

The sub-chapter among other aspects discusses the Agreement between the European Union and Georgia on “Protection of Geographical Indications of Agricultural Products and Foodstuff” signed on July 14, 2011. This Agreement applies to the recognition and protection of geographical indications (GIs) which are originating in the territories of the Contracting Parties.

The Lisbon System for the International Registration of Appellations of Origin, which aims to protect appellation of origin of which Georgia is a member since February 17, 2004 is also discussed in the text.

4. Legal Regulation of the EU

4.1. General and specific requirements on the import of alcoholic and non-alcoholic beverages and water products from Georgia to the EU market

The sub-chapter explains that alcoholic and non-alcoholic beverages and water products to be allowed at the EU market shall meet general and specific requirements of the EU. Also, relevant taxes (VAT, excise duties) applicable to imported products have to be paid.

The sub-chapter informs the reader that the information on the above stated requirements and taxes can be obtained from Export Helpdesk (section Requirements and Taxes) that is a free online service supporting export from third countries to the EU market. The web-address of Export Helpdesk is www.exporthelp.europa.eu. The website functions in 6 languages (English, French, Spanish, Portuguese, Arabic and Russian). The information in Export Helpdesk is systematised according to specific products.

The **general requirements** on the import of alcoholic and non-alcoholic beverages and water products to the EU market are the same. Following documents shall accompany these types of products for customs procedures when entering the EU market: Commercial invoice, Freight documents (*Bill of Lading, FIATA Bill of Lading, Road Waybill – CMR, Air Waybill - AWB, Rail Waybill – CIM, ATA Carnet, TIR Carnet*), Packing list, Customs Value Declaration, Freight Insurance and Customs Import Declaration (SAD).

Following **specific requirements** shall be met when importing alcoholic and non-alcoholic beverages and water products from Georgia to the EU market: Control of contaminants, Health control of foodstuffs of non-animal origin, Presentation and Labelling, Certificate and analysis report for wine, grape juice and must (document VI 1).

Each EU member state establishes its own Value Added Taxes (VAT) on alcoholic and non-alcoholic beverages and water products and excise duties on alcoholic beverages. There is no excise duty on the water products.

As Georgia is a beneficiary country of the EU’s General Systems of preferences (GSP+), import of non-alcoholic beverages and water products from Georgia to the EU market is free

from import duties. To benefit from a preferential tariff of GSP+, when entering the EU the product along with other required documents shall be accompanied by special certificate of origin – Form A.

4.2. Hygiene requirements

The export of alcoholic and non-alcoholic beverages and water products to the EU market it is important to consider all stages and aspects of production.

Production, processing, distribution and export/import of alcoholic and non-alcoholic beverages and water products are regulated by the normative acts in the EU, such as: regulations, directives, decisions and standards.

The present sub-chapter discusses: Regulation (EC) No 178/2002 of the European Parliament and of the Council of 28 January 2002 laying down the general principles and requirements of food law, establishing the European Food Safety Authority and laying down procedures in matters of food safety; Regulation (EC) No 852/2004 of the European Parliament and of the Council of 29 April 2004 on the hygiene of foodstuffs, laying down general requirements of food safety.

4.3. Labelling

4.3.1. Introduction

This part of the publication reviews Directive 2000/13/EC of the European Parliament and of the Council of 20 March 2000 on the approximation of the laws of the Member States relating to the labelling, presentation and advertising of foodstuffs lays down general rules for labelling of foodstuff, including alcoholic and non-alcoholic beverages and water products.

This Directive obliges local producers and importers to comply with the established rules and requirements.

The subchapter provides a detailed list of requirements and restrictions with respect to product labelling.

It is important to note that the Regulation (EU) No 1169/2011 of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 lays down the provision of food labelling. Implementation of the main body of the requirements in this regulation will become obligatory from December 13, 2014.

4.3.2. Labelling of alcoholic beverages

This sub-chapter discussed the Council Regulation (EC) No 479/2008 of 29 April 2008 on the common organization of the market in wine, amending Regulations (EC) No 1493/1999, (EC) No 1782/2003, (EC) No 1290/2005, (EC) No 3/2008 and repealing Regulations (EEC) No 2392/86 and (EC) No 1493/1999 that defines the requirements for labelling and presenting of alcoholic beverages.

On the basis of the Points 59, 60 and 61 of Part VI of the above stated Regulation, a detailed description of the requirements on labelling alcoholic beverages is provided in the text.

4.3.3. Labelling of non-alcoholic beverages and water products

This part of the publication reviews the Council Directive 2001/112/EC of 20 December 2001 relating to fruit juices and certain similar products intended for human consumption. This Directive specifies that the names of non-alcoholic beverages shall be placed on their label, namely: fruit juices, fruit juice concentrates, dehydrated fruit juices, and fruit nectar. The Directive defines types, names and descriptions of non-alcoholic beverages.

Directive 2009/54/EC of the European parliament and of the Council of 18 June 2009 on the exploitation and marketing of natural mineral waters defining rules of labelling of natural mineral waters and spring waters is also discussed in the text.

4.4. Norms of microbiological and chemical indicators

4.4.1. Introduction

This sub-chapter discusses the Commission Regulation (EC) No 2073/2005 of 15 November 2005 on microbiological criteria for foodstuffs laying down specific microbiological indicators and their limits for various types of foodstuff, including non-alcoholic beverages.

The text also reviews the Directive 2009/54/EC of the European parliament and of the Council of 18 June 2009 on the exploitation and marketing of natural mineral waters defines microbiological indicators and their norms for natural mineral waters and spring waters.

In addition various other EU requirements on the contamination substances in foodstuff that alcoholic and non-alcoholic beverages and water products on the EU market shall also meet are discussed in the text.

4.4.2. Norms of chemical indicators in alcoholic beverages

This text refers to the Commission Regulation (EC) No 1881/2006 of 19 December 2006 setting maximum levels for certain contaminants in foodstuffs specifies chemical indicators of alcoholic beverages.

According to this Regulation, norms of chemical indicators in alcoholic beverages are defined by ochratoxin A, patulin and lead.

4.4.3. Norms of physic-chemical indicators in non-alcoholic beverages and water products

The sub-chapter discusses the Commission Regulation (EC) No 2073/2005 of 15 November 2005 on microbiological criteria for foodstuffs defining specific micro-biological indicators and their limits in non-alcoholic beverages.

In addition, the Commission Regulation (EC) No 1881/2006 of 19 December 2006 setting maximum levels for certain contaminants in foodstuffs is reviewed. It is explained that according to this Regulation, states that the norms of chemical indicators in non-alcoholic beverages are: ochratoxin A, patulin, lead and inorganic tin.

The sub-chapter also reviews the Directive 2009/54/EC of the European Parliament and of the Council of 18 June 2009 on the exploitation and marketing of natural mineral waters defines limits for the concentrations of constituents of natural mineral waters and spring waters.

In addition, the Commission Directive 2003/40/EC of 16 May 2003 establishing the list, concentration limits and labelling requirements for the constituents of natural mineral waters and the conditions for using ozone-enriched air for the treatment of natural mineral waters and spring waters is discussed.

4.5. Marketing Standards

4.5.1. Introduction

Majority of the rules for the export of alcoholic and non-alcoholic beverages and water products from third countries to the EU market are harmonized amongst the EU member states.

Inspection bodies of the EU member states provide inspection of the relevance to the marketing standards of alcoholic and non-alcoholic beverages and water products intended for import.

4.5.2. Marketing standards of alcoholic beverages

This sub-chapter discusses the Council Regulation (EC) No 479/2008 of 29 April 2008 on the common organization of the market in wine, amending Regulations (EC) No 1493/1999, (EC) No 1782/2003, (EC) No 1290/2005, (EC) No 3/2008 and repealing Regulations (EEC) No 2392/86 and (EC) No 1493/1999 defining general organization rules of wine market on the EU territory. The following spheres of regulations are explained: protection of appellation of origin and geographic indications; labelling and presenting; rules to regulate trade with third countries; import and export licenses, etc.

Regulation (EC) No 110/2008 of the European Parliament and of the Council of 15 January 2008 providing definition, description, presentation, labelling and the protection of geographical indications of spirit drinks is also discussed in the text. The requirements of this regulation refer to alcoholic beverages produced on the EU territory, exported from EU and imported from third countries to the EU market.

This sub-chapter discusses the Commission Regulation (EC) No 555/2008 of 27 June 2008, laying down detailed rules for implementing Council Regulation (EC) No 479/2008 on the common organisation of the market, including, trade with third countries, controls in the wine sector, etc. It is explained that certificate and analyses report is mandatory for the imports of wine, grape juice and grape must to the EU market. The certificate and analysis report for each consignment intended for import into the EU market shall be drawn up on a single VI 1 document (Georgian legislation refers to this as a Certificate of Relevance form VI 1), that shall be signed by an officer of an competent body of the country of origin (in Georgia by National Wine Agency) and by an accredited laboratory.

4.5.3. Marketing standards of non-alcoholic beverages and water products

This part of the publication refers to the Council Directive 2001/112/EC of 20 December 2001. The text provides a detailed outline of the regulation of movement of fruit juices and certain similar products intended for human consumption at the EU market. It also defines their

terminology, types, regulation mechanisms, also labelling and marketing conditions.

The Directive 2009/54/EC of the European parliament and of the Council of 18 June 2009 defining the rules for the exploitation and marketing of natural mineral waters is also discussed.

4.6. Phytosanitary requirements on wood packaging materials in international trade

In the sub-chapter is explained that in the international trade standards for wood packaging materials are established by No.15 International Standards for Phytosanitary Measures (ISPM No.15).

The text also discusses ISPM No.15, which describes internationally recognized practice applied to the usage of wood packaging materials in all countries to reduce the risks associated to the spread of quarantine and other harmful organisms.

5. International standards

5.1. Standards ISO 22000 and GLOBAL G.A.P.

International standards ISO 22 000 “Food safety management systems requirements for any organization in the food chain” is an important document regulating food safety.

International standard - GLOBAL G.A.P. sets standards for the certification of production processes of agricultural products and lays down requirements for implementation for good agricultural practice (GAP).

The implementation of these standards is voluntary. However, their employment by business operators intending to export food products to the EU market is very important.

5.2. Codex Alimentarius Commission standards

The main guiding documents in international trade are Codex Alimentarius standards. Different committees of Codex Alimentarius Commission develop standard programs with the goal to establish a fair practice in trade as well as customer rights’ protection. It also includes practical advises, consultations and recommendations and harmonization of respective terminology.

The standards and recommendations laid down by the Codex Alimentarius Commission define the general rules and requirements with which business operators shall comply and are obligatory guiding documents in international trade.

The publication discusses the requirements of the Codex Alimentarius standards related to alcoholic and non-alcoholic beverages and water products.

**ვეროკავშირში ექსპორტისთვის განკუთვნილი ღვინის, ყურძნის წვენის და
ახალი ღვინის შესაბამისობის სერტიფიკატის ფორმა VI 1**

		THIRD COUNTRY OF ISSUE: GEORGIA
1. Exporter	VI 1	Serial №:
	DOCUMENT FOR THE IMPORTATION OF WINE, GRAPE JUICE OR GRAPE MUST INTO THE EUROPEAN COMMUNITY	
2. Consignee	(1) Obligatory only for wines benefiting from a reduced customs tariff (2) Delete as appropriate (3) Put an “X” in the appropriate place	
3. CUSTOMS STAMP (1)		
4. Means of transport (1)		
5. Place of unloading (1)		
6. Marks and reference numbers – number and nature of packages – Description of product		7. Quantity in l/hl/kg
		8. number of bottles
		9. Color of product
10. CERTIFICATE		
The product described above is not intended for direct human consumption, complies with the conditions governing. Production and entry into circulation applying in the COUNTRY of origin of the product and, if intended for direct human consumption, has not been subjected to oenological practices which are not permitted under current Community provisions relating to the import of the product in question		
Full name and address of the official agency: „NATIONAL WINE AGENCY” №6, Marshal Gelovani Ave. Tbilisi, Georgia 0159 Tel: 2378052,2378022,2106018		Place & date : Tbilisi, Georgia Stamp
11. ANALYSIS REPORT		
Describing the analytical characteristics of the product described above		
FOR GRAPE MUST AND GRAPE JUICE : density.		

FOR WINE AND GRAPE MUST STILL IN FERMENTATION :			
Total alcoholic strength : vol %		Actual alcoholic strength : vol %	
FOR ALL PRODUCTS :			
Total dry extract : g/l	Total acidity : g/l	Reducing sugars: g/l	Volatile acidity : 0,71 g/l
Citric acidity : g/l	Total sulfur dioxide : mg/l		
(3) presence absence of products obtained from varieties resulting from interspecific crossing (direct producer hybrids) other varieties not of the species Vitis vinifera.			
Full name and address of the official laboratory:		Place & date : Stamp	

არა ღსთ-ს ქვეყნებში საექსპორტო ალკოჰოლიანი სსმელვების წარმოშობის
სერტიფიკატის ფორმა

1. Exporter (name, address, country)		ORIGINAL No.	
2. Consignee (name, address, country)			
3. Means of transport and route		4. For official use	
5. COUNTRY of origin		6. Supplementary details	
7. Item number	8. Description of goods	9. number and kind of packages	10. Gross weight or other quantity
<p>11. Certification It is hereby certified, that the declaration by the exporter is correct</p> <p>„NATIONAL WINE AGENCY” №6, Marshal Gelovani Ave. Tbilisi, Georgia 0159 Tel: 2378052, 2378022, 2106018</p>		<p>12. Declaration by the exporter The undersigned hereby declares that the above details and statements are correct; that the goods are of origin of the COUNTRY shown in box No. 5; that the goods are exported to</p> <p>_____</p> <p>(importing country)</p>	
Place, date, signature, name and stamp of certifying authority		Place, date, stamp and signature of authorised signatory	

წყლის სასაქონლო პროდუქციის კატეგორიის ფორმა



**საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სურსათის ეროვნული სააგენტო**

წყლის სასაქონლო პროდუქციის კატეგორია

მინიჭებული კატეგორიის რეგისტრაციაში გატარების № _____

თარიღი: „____“ „_____“ 20- წ.

გაცემულია: _____
იურიდიული ან ფიზიკური პირის დასახელება, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა

ფაქტობრივი და იურიდიული მისამართი, კოდი, ტელეფონის ნომერი

წყლის სასაქონლო პროდუქციის დასახელება: _____

საბადოს გეოგრაფიული მდებარეობა და დასახელება: _____

მინიჭებული კატეგორიის დასახელება: _____

სააგენტოს უფროსი:

**კუზლიკაციაში გამოყენებული საქართველოსა და ევროკავშირის
საკანონმდებლო აქტები და საერთაშორისო ხელშეკრულებები**

1. საქართველოს კანონი „წყლის შესახებ“, 1997 წლის 16 ოქტომბერი;
2. საქართველოს კანონი „ვაზისა და ღვინის შესახებ“, 1998 წლის 12 ივნისი;
3. საქართველოს კანონი „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ“, 1999 წლის 22 ივნისი;
4. საქართველოს კანონი „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი“, 2012 წლის 8 მაისი;
5. საქართველოს კანონი „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“, 2012 წლის 8 მაისი;
6. საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 28 თებერვლის №88 ბრძანებულება „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ საქართველოს კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა თაობაზე“;
7. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის №182 დადგენილება „ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების დაპატენტებასთან, რეგისტრაციასთან და დეპონირებასთან დაკავშირებული მომსახურების საფასურების დამტკიცების შესახებ“;
8. საქართველოს მთავრობის 2011 წლის 26 იანვრის №45 დადგენილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ მომსახურების განევის ვადისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“;
9. საქართველოს მთავრობის 2011 წლის 31 იანვრის №59 დადგენილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ მომსახურების განევის ვადისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“;
10. საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2003 წლის 4 მარტის №2-49 ბრძანება „მინერალური წყლის ადგილწარმოშობის დასახელების რეგისტრაციისთვის და მინერალური წყლის ადგილწარმოშობის დასახელების გამოყენების უფლების მქონე პირის რეგისტრაციისთვის საჭირო კანონმდებლობით განსაზღვრულ მონაცემთა შესწავლის, დადგენის და მინერალური წყლის ადგილწარმოშობის დასახელების გამოყენებაზე კონტროლის განხორციელების წესის შესახებ“.
11. საქართველოს სოფლის მეურნეობის და სურსათის მინისტრის 2003 წლის 6 მარტის №2-51 ბრძანება „ყურძნის ღვინოების წარმოების ზოგადი წესებისა და რეგლამენტების შესახებ დებულების“, „ტექნოლოგიური პროცესების აღრიცხვის წესის შესახებ დებულების“, „მევენახეობა-მეღვინეობის დარგში სასაქონლო პროდუქციის წარმოებასთან და რეალიზაციასთან დაკავშირებული საქმიანობის სავალდებულო შეტყობინების წესის შესახებ დებულების“ დამტკიცების შესახებ;
12. საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის 2003 წლის 12

აგვისტოს №2-221 ბრძანება „ალკოჰოლიანი სასმელების სერტიფიკაციის სისტემის შესახებ“ და „ალკოჰოლიანი სასმელების სერტიფიკაციის წესის შესახებ“ დებულებების, „წარმოშობის სერტიფიკაციის გაცემის წესის“, „ღვინის ჩამოხარისხების წესის“ დამტკიცების შესახებ;

13. საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2007 წლის 6 თებერვლის №2-14 ბრძანება „საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურთან არსებულ წყლის სასაქონლო პროდუქციის კატეგორიის მინიჭებაზე საუწყებოთაშორისო ექსპერტთა საბჭოს დებულების, წყლის სასაქონლო პროდუქციის კატეგორიის ბლანკის, აღრიცხვა-ანგარიშგების წესისა და სარეგისტრაციო ჟურნალის დამტკიცების შესახებ“;
14. საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2010 წლის 7 ოქტომბერის №2-159 ბრძანება „მეღვინეობის პრაქტიკაში ნებადართული პროცესების, მასალებისა და ნივთიერებების ჩამონათვალის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“;
15. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს №301/ნ ბრძანება „სასურსათო ნედლეულისა და კვების პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოების სანიტარიული წესებისა და ნორმების დამტკიცების შესახებ“;
16. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს №311/ნ ბრძანება „საკვებდანამატების გამოყენების სანიტარიული წესებისა და ნორმების დამტკიცების შესახებ“;
17. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 27 ნოემბრის №306/ნ ბრძანება „ჰიგიენური მოთხოვნები ჩამოსხმული სასმელი წყლის ხარისხისადმი“ სანიტარიული წესები და ნორმები სანდან 2.3.2/2.3.3.004-001-03;
18. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 17 დეკემბრის №349/ნ ბრძანება „სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“;
19. საქართველოს ეროვნული სტანდარტი სსტ 53:2006 „წყლები ნატურალური მინერალური ჩამოსხმული“;
20. ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს 1994 წლის 30 ივნისის დირექტივა №94/35/EC;
21. ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს 2001 წლის 12 მარტის დირექტივა №2001/18/EC;
22. ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს 2002 წლის 28 იანვრის რეგულაცია №178/2002;
23. ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს 2004 წლის 29 აპრილის რეგულაცია №852/2004;

24. ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს 2005 წლის 23 თებერვლის რეგულაცია №396/2005;
25. ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს 2005 წლის 15 ნოემბრის რეგულაცია №2073/2005;
26. ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს 2006 წლის 19 დეკემბრის რეგულაცია №1881/2006;
27. ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოსა 2007 წლის 28 ივნისის რეგულაცია №834/2007;
28. ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს 2008 წლის 15 იანვრის რეგულაცია №110/2008;
29. ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს 2008 წლის 29 აპრილის რეგულაცია №479/2008;
30. ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოსა 2008 წლის 5 სექტემბრის რეგულაცია №889/2008;
31. ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს 2008 წლის 16 დეკემბრის რეგულაცია №1333/2008;
32. ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს 2011 წლის 25 ოქტომბერს რეგულაცია №1169/2011;
33. ევროკავშირის საბჭოს 1978 წლის 21 დეკემბრის დირექტივა №79/117/EC;
34. ევროკავშირის საბჭოს 1988 წლის 21 დეკემბრის დირექტივა №89/107/EEC;
35. ევროკავშირის საბჭოს 1998 წლის 3 ნოემბრის დირექტივა №98/83/EC;
36. ევროკავშირის საბჭოს 2000 წლის 20 მარტის დირექტივა №2000/13/EC;
37. ევროკავშირის საბჭოს 2001 წლის 19 იანვრის დირექტივა №2001/112/EC;
38. ევროკავშირის საბჭოს 2003 წლის 16 მაისის დირექტივა №2003/40/EC;
39. ევროკავშირის საბჭოს 2003 წლის 10 ნოემბრის დირექტივა №2003/89/EC;
40. ევროკავშირის საბჭოს 2006 წლის 20 მარტის რეგულაცია №510/2006;
41. ევროკავშირის საბჭოს 2008 წლის 27 ივნისის რეგულაცია №555/2008;
42. ევროკავშირის საბჭოს 2009 წლის 18 ივნისის დირექტივა №2009/54/EC;
43. ევროკომისიის 2010 წლის 9 თებერვლის რეგულაცია №115/2010;
44. კოდექს ალიმენტარიუსის სტანდარტი CAC/RCP 1-1969;
45. კოდექს ალიმენტარიუსის სტანდარტი CODEX STAN 108-1981;
46. კოდექს ალიმენტარიუსის სტანდარტი CAC/RCP 33/1985;
47. კოდექს ალიმენტარიუსის სტანდარტი CODEX STAN 192-1995;

48. კოდექს ალიმენტარიუსის სტანდარტი CAC/RCP 50/2003;
49. კოდექს ალიმენტარიუსის სტანდარტი CAC/RCP 63/2007;
50. საერთაშორისო სტანდარტი ISO-22000:2005;
51. საერთაშორისო სტანდარტი GLOBAL G.A.P.
52. „ადგილწარმოშობის დასახელებების დაცვისა და მათი საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ“ ლისაბონის შეთანხმება. 1958 წლის 31 ოქტომბერი;
53. „სოფლის მეურნეობისა და სხვა სასურსათო პროდუქტების გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის შესახებ“ ევროკავშირსა და საქართველოს შორის დადებული შეთანხმება. 2011 წლის 14 ივლისი;
54. ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭოს (EUGBC) პუბლიკაცია „მესამე ქვეყნებიდან ახალი ხილისა და ბოსტნეულის ექსპორტის საკითხები“. თბილისი 2010;
55. ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭოს (EUGBC) პუბლიკაცია „რა უნდა ვიცოდეთ საქართველოდან ევროკავშირის ბაზარზე არაცხოველური წარმოშობის სურსათის ექსპორტისათვის“. თბილისი, 2012.



EUROPEAN UNION



EU-GEORGIA
BUSINESS COUNCIL